ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების ხოცვა გრძელდება



რა გახდა 29 წლის ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალების მიზეზი გვ.3

## 12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

**საღმრთო ისტორია**

„მე მიყვარს კითხვა"



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ხუთშაბათი, 14 მარტი, 2019 №61 (8015) ფასი: 60 თეთრი

# „მე ღარიბაშვილის მეგობარი ვარ და ამიტომ არ მიხარია მისი „ოცნებაში დაბრუნება"





სანდრო ბრეგაძე: „ოცნების" ხელისუფლებიდან გაშვება მხოლოდ დროის საკითხია" გვ.2

## გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ჩემ მიმართ მძიმე ფიქრები აქვს"



„როგორც ჩანს, „გადამწიფებულ თინეიჯერ" კობახიძეს ექსპერტები კაკულია და ცაგარელი ჰგონია" გვ.3



## პაატა ზაქარეიშვილი: „ვადამდელი არჩევნები ხელისუფლების გადარჩენის შანსია" გვ.6

## გელა ნიკოლაიშვილი: „ციხეები ისევ გაივსო" გვ.6



## სუსმა ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა გვ.7



### სამართალი გვ.7

ნოდარ გვიჩიანი, რომელიც კალაძის ძმის გატაცების საქმეში ფიგურირებს, შსს-მ დააკავა



13 წლის ლიზა ვადაჭკორია რუსთავში მე-8 სართულიდან გადავარდა და ადგილზე დაიღუპა



გვ.7



თემურ აბაზოვი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას ითხოვს

### ეკონომიკა გვ.6



„ტავ ურბან ჯორჯიას" მომსახურების სერვისი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება"



„კალაძის მავნებლური ბიზნესგეგმა" — საკრებულოს წევრები თბილისის მერს გეგმების გაუარესებაში ადანაშაულებენ გვ.5



გვ.4

მოქალაქეებისთვის სარეკლამო SMS-ის გაგზავნა, მათი თანხმობის გარეშე, შესაძლოა, აიკრძალოს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 საქართველოსა და გაზპრომს შორის ახალი შეთანხმება „ჩრდილოეთ ნაკადი 2"-ის დაბლოკვას დაემთხვა

4 სერგი კაპანაძე: „პროკურატურას დღემდე ფარცხალაძე-შოთაძის კლანი მართავს"

5 გიორგი ოთხმეზური: „მონარქია განსაკუთრებულს არაფერს მოგვიტანს, არც პოლიტიკა შეიცვლება და არც ეკონომიკა"

8 რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სუვერენული ინტერნეტის შექმნა დაიწყო

# „მე ღარიბაშვილის მეგობარი ვარ და ამიტომ არ მიხარია მისი „ოცნებაში დაბრუნება"

შორენა მარსაგიშვილი





**რატომ არა აქვს „ოცნებას" გადარჩენის შანსი, რას ვერ ხვდება ივანიშვილი, რა სიურპრიზს უნდა ელოდოს ის სალომე ზურაბიშვილისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.**

***– თქვენ ყოველთვის ითვლებოდით ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის წევრად და ალბათ გიხარიათ პოლიტიკაში მისი დაბრუნება. შეძლებს ის იმ მისიის შესრულებას, რისთვისაც დააბრუნეს?***

– მე არ ვარ ღარიბაშვილის გუნდის წევრი, მე ღარიბაშვილის მეგობარი ვარ. და იმიტომ, რომ მეგობარი ვარ, სულაც არ მიხარია, რომ ის „ოცნებაში" დაბრუნდა. ჩემი აზრით, მან ძალიან სარისკო ნაბიჯი გადადგა და ცეცხლის ალში შევარდა, სადაც მის პოლიტიკურ გუნდს არ აქვს მყარი პოზიციები.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს ადამიანი ჯერ კიდევ შს მინისტრობიდან გამოირჩეოდა თავისი ეროვნული და კონსერვატიული შეხედულებებით. აქედან გამომდინარე, „ოცნებაში" თავმოყრილ სოროსელ ლიბერასტებს ის გულზე დიდად არ ეხატებათ.

***– ვის გულისხმობთ სოროსელ ლიბერასტებში?***

– კობახიძე-ზარდიაშვილი-თალაკვაძე-მდინარაძის კლანს. მათ ყველაზე მეტად ეწყინათ ღარიბაშვილის დაბრუნება. კარგად იციან, რომ თუ ეს ადამიანი „ოცნებაში" მყარად დადგება ფეხზე, იქ მათი ადგილი აღარ იქნება.

ყოფილ პრემიერს გუნდში ძალიან ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ მისთვის მთავარი პრობლემა ეს სულაც არ იქნება. მთავარი პრობლემა სულ სხვა რამეა.

ის პოლიტიკაში იმ რეალობაში დაბრუნდა, რომელიც დიდად განსხვავდება იმ წლებისგან, როცა ხელისუფლებაში იყო. 2013-2015 წლებში ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა ძალიან მაღალი რეიტინგი. ახლა ეს რეალობა შეცვლილია. მაშინ მე მთავრობის წევრი ვიყავი და ყველაფერი კარგად მახსოვს. ბევრი რამის გაკეთებას მაშინაც ვერ ახერხებდა ივანიშვილი, მაგრამ ხალხის აგრესია მას არ ატყდებოდა თავს. საზოგადოება ფიქრობდა, რომ მას საქმის კეთებაში ხელს რესპუბლიკელები უშლიდნენ.

დღეს აღარც რესპუბლიკელები არიან „ოცნების" კოალიციაში და ხალხის რისხვაც პირდაპირ ივანიშვილისკენ არის მიმართული. დღეს ყველაფერზე პასუხისმგებელი არის ის. მისი რეიტინგი და მის მიმართ ნდობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაცემულია.

აი, ამ პირობებში მოუწია ყოფილ პრემიერს დაბრუნება და ამიტომ არ მიხარია მისი პოლიტიკაში შემოსვლა.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილი იმიტომ დააბრუნეს, რომ მან ივანიშვილის მეხამრიდის ფუნქცია შეასრულოს?***

– ასე გამოდის. დღეს ირაკლი „ოცნების" ლიდერის უკანასკნელი იმედია. მასზეა დამოკიდებული „ქართული ოცნება", როგორც პარტია. მე „ოცნებას" აღარ განვიხილავ მმართველ ძალად. ახლა იმაზე მიდის ბრძოლა, „ოცნება" იარსებებს თუ არა, როგორც პარტია.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, იარსებებს თუ არა „ოცნება", როგორც პარტია?***

– ღარიბაშვილს საქმის გაკეთების საშუალება თუ არ მიეცა, ის ვერ იქნება წარმატებული და „ოცნებასაც" სერიოზული პრობლემები შეექმნება.

ერთს ახლავე გეტყვით – დღევანდელი მმართველი პარტია ხელისუფლებაში ვეღარ დარჩება. „ოცნების" გაშვება მხოლოდ დროის საკითხია.

***– რატომ გგონიათ რომ მისი გაშვება მხოლოდ დროის საკითხია?***

– იმიტომ, რომ ამ ძალას დაუპირისპირდნენ მემარჯვენეებიც, მემარცხენეებიც, ეროვნულებიც, არაეროვნულებიც და ლიბერასტებიც. ეს მისი არაგონივრული მოქმედებების შედეგია. ამიტომაც მისი ხელისუფლებაში დარჩენა გამორიცხულია. ისინი შეიძლება მოქალაქეთა კავშირივით გაქრნენ.

**რანაირად დავიჯერო, რომ ამათ რამე ადარდებთ – ყველაფერი თავზე ემხობათ და პარტიაში მიღებაზე კასტინგი გამოაცხადეს. ეტყობა, პოლიტიკური პარტია სილამაზის კონკურსი ან ესთეტიკური მედიცინის ცენტრი ჰგონიათ**

„ოცნების" ლიდერები ამ საფრთხეებს ვერ აცნობიერებენ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი სხვადასხვა შეხვედრებზე დადიან და იქ ისეთ რამეებს ამბობენ, რომ თამამად შემიძლია გითხრათ – ისინი აბსოლუტურად მოწყვეტილი არიან რეალობას.

რეალობას არის მოწყვეტილი თავად ბიძინა ივანიშვილიც. ამის შესახებ მე წინა ინტერვიუებშიც ვისაუბრე. ამ ადამიანს გარს უამრავი ქლესა და მლიქვნელი ახვევია. ისინი „ოცნების" ლიდერს არწმუნებენ, რომ მას ჭარბი ნდობა აქვს და ქართველებში მისი უბრალო გამოჩენაც კი დიდ აღფრთოვანებას იწვევს.

მისდა სამწუხაროდ, ივანიშვილს ამ მლიქვნელების სჯერა. მის ადგილზე მლიქვნელებს კი არ მოვუსმენდი, არამედ ინით შევიღებავდი წვერს და ხალხში გავიდოდი.

***– მეფე გიორგისავით მოქცევას ურჩევთ?***

– მასავით უნდა მოიქცეს. ინით შეიღებოს წვერი, გავიდეს ხალხში და მათგან მოისმინოს, რას ფიქრობენ ისინი ხელისუფლებასა და პირადად ბიძინა ივანიშვილზე. ხალხის აზრს თუ მოისმენს, გარწმუნებთ, „ოცნების" ლიდერი ბევრად უფრო ადეკვატური გახდება.

ახლა ის ვასიკო მაღლაფერიძის, სოზარ სუბარის, გოგა ხაინდრავას, ნიკუშა შენგელაიას და ამნაირების ჭკუაზე დადის. შედეგიც სახეზეა – ქვეყანაც მძიმე დღეშია და „ქართული ოცნებაც".

რანაირად დავიჯერო, რომ ამათ რამე ადარდებთ – ყველაფერი თავზე ემხობათ და პარტიაში მიღებაზე კასტინგი გამოაცხადეს. ეტყობა, პოლიტიკური პარტია სილამაზის კონკურსი ან ესთეტიკური მედიცინის ცენტრი ჰგონიათ.

ძალიან მინდა იმ ადამიანის ვინაობის გაგება, ვის თავშიც პარტიაში მიღებაზე კასტინგის ჩატარების იდეა დაიბადა.

***– რაში გჭირდებათ ამ ადამიანის ვინაობის გაგება?***

– მის თავში მინდა ჩავიხედო, რათა გავიგო, აქვს თუ არა საერთოდ ტვინი. რა კასტინგზე და პარტიის გაძლიერებაზეა საუბარი. ბოდიში თქვენთან და მკითხველთან, მაგრამ ქართველებს სულ ფეხებზე ჰკიდიათ, პარტია „ქართული ოცნება" გაძლიერდება თუ არ გაძლიერდება.

ხალხს არც სხვა პარტიების გაძლიერება აინტერესებს. აქ მთავარი ქვეყნის გაძლიერებაა. კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, მაგრამ უნდა ვთქვა – ხალხს სულ ფეხებზე ჰკიდია, რა კულუარული ომი მიდის ვანო ზარდიაშვილსა და ანრი ოხანაშვილს შორის.

***– ეს პირობითად თქვით თუ მათ შორის მართლა რამე ომი დაიწყო?***

– ისე ვთქვი. ამათ შორის რა ომი უნდა დაიწყოს. ორივე ერთი პოლიტიკური თესლიდან აღმოცენებული პოლიტიკური ნაყოფია.

საოცარი ჰიბრიდების თავმოყრა მოხდა „ქართულ ოცნებაში". ირაკლი ღარიბაშვილს მათთან მუშაობა ძალიან გაუჭირდება. ამას, როგორც მისი მეგობარი და გულშემატკივარი, ისე ვამბობ.

ის დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. დასაფასებელია, რომ მან ეს მძიმე ნაბიჯი გადადგა.

***– იქნებ სხვა გზა არც ჰქონდა?***

– როგორ არ ჰქონდა. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ პოლიტიკაში არ ერევა და ამ პროცესებიდან შორს დამდგარიყო. პრაგმატული თვალსაზრისით, ეს მისთვის ძალიან მომგებიანი იქნებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილი ხელისუფლებაში ივანიშვილმა მოიყვანა და ის მის მიმართ თავს დავალებულად გრძნობს. ამიტომაც როცა „ოცნების" ლიდერს დასჭირდა, ის პოლიტიკაში დაბრუნდა და თავისთვის ძალიან მძიმე და სარისკო ნაბიჯი გადადგა.

***– პოლიტიკაში მის დაბრუნებას რაღაც უცნაური ამბები მოჰყვა. ჯერ წულუკიანმა ატეხა ერთი ამბავი წასვლაზე, მერე სალომე ზურაბიშვილმა მოიმიზეზა ცუდად ყოფნა და პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილეზე არ**

## სანდრო ბრეგაძე: „ოცნების" ხელისუფლებიდან გაშვება მხოლოდ დროის საკითხია"

***მივიდა, სამაგიეროდ, მეორე დღეს ერევანში გაფრინდა. ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა თუ რაღაც ხდება?***

– წულუკიანის შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი თამაშია. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, „ოცნებაში" მყოფმა გენიოსებმა შეიმუშავეს გეგმა და წულუკიანის გამოხდომაც ამ გეგმის ნაწილია.

***– რა გეგმაზეა საუბარი, ან ვინ არიან ეს გენიოსები?***

– გენიოსებს იმ ხალხს ვეძახი, ვინც პიარს განაგებს. მათ მოიფიქრეს, რომ ჩასვრილი სიტუაციის გამოსასწორებლად რაღაც თემები გამოიგონონ. ამ თემებმა უნდა გადაფაროს მთავარი პრობლემები.

ეს მკვდრადშობილი იდეაა, „ოცნება" ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, ამას ვერაფერი გადაფარავს. ვის რაში აინტერესებს, წულუკიანი წავა თუ მოვა, ეს ქალი ერთი ჩვეულებრივი სოროსელია.

სალომე ზურაბიშვილს რაც შეეხება, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, რომ ის არის საქართველოს სირცხვილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საუკუნეების წინ, ფერეიდანში გადასახლებული ქართველები ბევრად უფრო სუფთა ქართულით საუბრობენ, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი. ადამიანს საქართველოს პრეზიდენტობა უნდა და იმასაც კი არ ცდილობს, რომ თავისი გრამატიკა გამოასწოროს.

**სალომე ზურაბიშვილი ბალტიისპირეთში რომ დავინახე მიღებაზე, გული გამისკდა – ცხენიდან ჩამომხტარ მხედარს ჰგავდა. კიდევ ვიმეორებ, მისი პრეზიდენტობა არის საქართველოს დიდი სირცხვილი. არ მესმის, რატომ უნდა ავიტანოთ ის ამ თანამდებობაზე**

ეს ქალი არის პენსიონერი და პენსიონერისთვის იმაზე უკეთესი გასართობი, ვიდრე პრეზიდენტობაა, სხვა რა უნდა იყოს. ამოიცვა ჩექმებიანი კატის ჩექმები და დადის ასე ოფიციალურ შეხვედრებზე. რაკი საფრანგეთში დაიბადა, მაგას თავი კოკო შანელის მემკვიდრე ხომ არ ჰგონია!

***– საფრანგეთში რომ არის დაბადებული, სხვაზე უკეთ უნდა იცოდეს, რომ ოფიციალური პირი ოფიციალურ შეხვედრებზე ჩექმებით არ უნდა დადიოდეს.***

– რა თქმა უნდა. ბალტიისპირეთში რომ დავინახე მიღებაზე, გული გამისკდა – ცხენიდან ჩამომხტარ მხედარს ჰგავდა. კიდევ ვიმეორებ, მისი პრეზიდენტობა არის საქართველოს დიდი სირცხვილი. არ მესმის, რატომ უნდა ავიტანოთ ის ამ თანამდებობაზე.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე არ მივიდა. ის ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილსაც აუმხედრდება.

***– ივანიშვილს რატომ უნდა აუმხედრდეს, მაგან არ დანიშნა პრეზიდენტად?***

– მაგან დანიშნა, მაგრამ მაინც აუმხედრდება, მას სხვანაირად არ შეუძლია.

***– რას ნიშნავს სხვანაირად არ შეუძლია?***

– ხასიათი აქვს ასეთი. ამ ქალს კარგად ვიცნობ და ახლავე გეუბნებით, ის ძალიან მალე ღიად დაუპირისპირდება „ოცნების" ლიდერს.

***– ივანიშვილმა არ იცოდა მისი ხასიათი და ისე წარადგინა პრეზიდენტად?***

– შეიძლება არ იცოდა და გარემოცვამ დაარწმუნა, რომ საუკეთესო კანდიდატურა იყო. შეიძლება იცოდა, მაგრამ ჩათვალა, რომ ასეთი ხასიათის მქონე ადამიანს უფრო იოლად მართავდა.

ფაქტი ისაა, რომ ჯერ მარგველაშვილის და მერე ზურაბიშვილის დანიშვნით, ივანიშვილმა პრეზიდენტის ინსტიტუტს საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

საეჭვოდ ხდება ყველა ინსტიტუტის დისკრედიტაცია. ვფიქრობ, რომ ივანიშვილს ასე უნდა, სხვებზე უკეთესად წარმოჩნდეს. ამასაც თავისი მრჩევლები ურჩევდნენ. „ოცნების" ლიდერი იმასაც კი ვერ ხვდება, რომ მას გარემოცვა პირდაპირ უფსკრულში მიაქანებს.

იმის მაგივრად, რომ სახელისუფლებო შტოები იმ ჭაობიდან ამოეყვანა, რომელშიც ისინი სააკაშვილის დროს აღმოჩნდნენ, კიდევ უფრო ღრმად ჩაძირა. ამის გარდა, დისკრედიტირება გაუკეთა ყველა პარტიას თუ სოციალურ ჯგუფს.

ეგონა, რომ ამით „ოცნება" კარგად გამოჩნდებოდა. თავიდან ასე იყო, მაგრამ ახლა „ოცნებაც" დისკრედიტირებულია. ირაკლი ღარიბაშვილი იქ ვეღარ გამოასწორებს სიტუაციას და ტყუილად მასაც უნდა მოეცხოს ტალახი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ჩემ მიმართ მძიმე ფიქრები აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის შემდეგ ექსპერტებს მიადგა. ირაკლი კობახიძის თქმით, ქართულ პოლიტიკაში არის 5 ექსპერტი, რომლის პოლიტიკური პროგნოზიც არასდროს გამართლებულა.

„ქართულ პოლიტიკაში გვყავს ხუთი ექსპერტი, რომლებსაც ამდენი წლის განმავლობაში ჰქვია ექსპერტი. თითოეული მათგანი არის ერთგვარი ვანგა ქართულ პოლიტიკაში, რომელთა არც ერთი პროგნოზი დღემდე არ გამართლებულა. წარმოიდგინეთ ფეხბურთში ექსპერტი, რომლისთვისაც შეუძლებელია რომელიმე ანგარიშის გამოცნობა. როცა ვერცერთ ანგარიშს გაართყამს ფეხბურთის ექსპერტი, ხომ აღარ დაუძახებთ მეხუთედ, მეექვსედ.. არიან ადამიანები ეგრეთ წოდებული ექსპერტები, რომლებიც ვერცერთ პროგნოზს ვერ არტყამენ ვერც 2012 წლის შემდეგ და ვერც მანამდე და დღემდე ითვლებიან ექსპერტებად. ჩვენ კი რატომღაც გვიწევს მათ კომენტარებზე კომენტარების გაკეთება, რაც დროის ფლანგვაა“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში.

როგორ აღიქვა ირაკლი კობახიძის განცხადება და დაინახა თუ არა ის, რომ ირაკლი კობახიძემ ისიც იგულისხმა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი საუბრობს:

***– ირაკლი კობახიძე არასამთავრობოებისა და ოპოზიციური პარტიების შემდეგ პოლიტიკურ ექსპერტებსაც მოგადგათ. როგორ გაიგეთ მისი განცხადება?***

– იცით რა არის? გავეცანი მის განცხადებას და მინდა გითხრათ, რომ არასერიოზულია. პირველ რიგში დავეთანხმები იმაში, რომ ის ადამიანები, რომლებიც თავის მოღვაწეობას შიშველ პროგნოზირებაზე აკეთებენ, სიმართლე გითხრათ, ექსპერტებად მეც არ ვთვლი. მის ამ მოსაზრებას ამ ნაწილში გავიზიარებდი, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ექსპერტის ფუნქცია პროგნოზის კეთება საერთოდ არ არის.

ექსპერტი რეალურად ის ადამიანია, რომელიც ანალიზს აკეთებს, ამის შესაბამისად განსაზღვრავს ტენდენციებს და რაღაც რეკომენდაციებსაც დებს. ეს არის ექსპერტი. რაც შეეხება პროგნოზირებას, ეს არ არის ექსპერტის პირდაპირი ფუნქცია. როგორც ჩანს, ამ „მუდმივ თინეიჯერს“, უფრო სწორად „გადამწიფებულ თინეიჯერს“, არ ესმის ეს.

მას ჰგონია, რომ ექსპერტი არის ლელა



კაკულია, ან მიხეილ ცაგარელი. არ ვიცი, ვისზე ლაპარაკობდა, მაგრამ ის ამბობდა, რომ ექსპერტის ფუნქცია არის პროგნოზების დასმა. ხომ არ ავიწყდებათ, რასაც ამბობდნენ საპრეზიდენტო არჩევნებზე?! მხედველობაში მაქვს ის, რომ პირველივე ტურში იგებდნენ. თუ კარგი პროგნოზები იცის, მაშინ გვითხრას.

მისი განცხადებების შეფასება ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ ის ყოველთვის არასწორ მოცემულობას ეყრდნობა და მერე ცდილობს, რომ იმ არასწორ მოცემულობაზე რაღაცა ლოგიკა ააგოს. ეს დამახასიათებელია გარკვეული ფსიქიკური აშლილობების დროს. მე ახლა ამ დარგის სპეციალისტი არ ვარ და, შესაბამისად, კატეგორიული ვერ ვიქნები, მაგრამ თავს თუ მიხედავს, ცუდი არ იქნება.

***– ხომ არ დაინახეთ, რომ თქვენც გიგულისხმათ იმ 5 ექსპერტს შორის?***

– არ ვიცი. ის ისეთ რაღაცაზე საუბრობს, რაც მე არ მეხება. იმიტომ, რომ მე პროგნოზების კეთება არ მახასიათებს. მით უმეტეს, ის საუბრობს, როგორც 2012 წლამდე პერიოდზე, ის შემდგომ პერიოდზე. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა, მისგან განსხვავებით, მე ამარჩია ზუსტად იმიტომ, რომ ჩემს ანალიზს ენდობოდა და პირველი მე გამიცნო. შეიძლება მან გულში რაღაცა გაიფიქრა, მაგრამ მის რიტორიკასა და იმ პარამეტრებს, რაზეც ის საუბრობდა, მე ვერ ვაკმაყოფილებ. მისდა სამწუხაროდ.

თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მისი მხრიდან კრიტიკა ჩათვალეთ, რომ ქების ტოლფასია.

***– ის, რომ მან არ დაასახელა კონკრეტული ექსპერტები, ეს რას ნიშნავს? არ ჰყოფნის ამის გამბედაობა?***

**„როგორც ჩანს, „გადამწიფებულ თინეიჯერ“ კობახიძეს ექსპერტები კაკულია და ცაგარელი ჰგონია“**



– რა თქმა უნდა. ეშინია, ფრთხილობს და ვერ ასახელებს. მე ვფიქრობ, რომ მისი ეს რიტორიკა მიმართულია სხვა მხარეს. ეს არ იყო მისი რიტორიკა.

***– ვისი იყო?***

– მე ვფიქრობ, რომ ის ცდილობდა ვიღაცისთვის ესიამოვნებინა. ცდილობდა გაემეორებინა ის, რაც ვიღაცისგან მოისმინა. როგორი დამჯერი შვილია, ამის დემონსტრირებისთვის დასჭირდა ამის თქმა. ასე ვთქვათ, ვაზელინით, როგორ წერს ტელეეკრანებიდან ფრთიან ფრაზებს. მე ვფიქრობ, რომ უფრო ამაშია საქმე და სხვა არაფერში.

***– ივანიშვილისთვის სიამოვნებას ცდილობდა?***

– არ ვიცი. პოლიტიკური პატრონისთვის. მე, როგორც ექსპერტი, კატეგორიული არ ვიქნები, რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთი განცდა დამრჩა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შესაბამისად მგონია, რომ მე ხუთეულში ვერ მოვხვდებოდი. იმიტომ, რომ დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილი ჩემზე ასე ნამდვილად არ ფიქრობს. ბევრად უფრო მძიმე ფიქრები აქვს ჩემთან დაკავშირებით.

***– ბევრად მძიმეში რას გულისხმობთ?***

– დეტალებში არ შევალ.

***– კობახიძე ამ განცხადებით იმასაც ხომ არ ცდილობდა, რომ ექსპერტები რაღაცნაირად გაეჩუმოთ, ან თუნდაც საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ექსპერტებს არ ენდონ?***

– როგორ გგონიათ, კობახიძის ავტორიტეტი როგორია? მისი ავტორიტეტი პლინტუსს ქვემოთ არის. თქვენ როგორ გგონიათ, მის ნათქვამს რამე ფასი აქვს?! მის ნათქვამზე ვინმე წამოეგება?! შეიძლება მას ეს ილუზია ჰქონდეს. სადაც ზურაბიშვილის პლაკატებზე საკუთარი დაუვარცხნელი პორტრეტები დახატა, შეიძლება ასე ჰგონია, მაგრამ როგორც ნათქვამია, ნეტარ არიან მორწმუნენი. ამ ახალგაზრდას ძალიან მძიმე აშლილობა სჭირს. სიმართლე გითხრათ, მეცოდება და მის მიმართ არანაირი აგრესია არ მაქვს. როგორც ჩანს, მას ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს და კიდევ ერთხელ ვურჩევ ამ პრობლემებს მიხედოს.

***– აღიქვამთ თუ არა სერიოზულად, გინდათ თუ არა, ფაქტია, რომ ის ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პირია.***

– ის არ არის არც პირველი, არც მეორე და არც მეათე. თქვენ იმის ილუზია გაქვთ, რომ ის რამეს წარმოადგენს?! მე არ მაქვს ამის ილუზია.

***– ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასეა.***

– ეს არის ფორმალური მხარე. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ერთია ფორმალური მხარე და მეორეა რეალობა. რეალურად ამ ქვეყანაში არავინ არ არსებობს. ამიტომ, ასე გადანომრა პრაქტიკულად შეუძლებელია. არის ერთი ბაბილონის გოდოლი, რომელიც ერთი ადამიანის – ბიძინა ივანიშვილის მხრებზე დევს. ყველა დანარჩენი პაიკია. ეს არის ჭადრაკის ერთგვარი იმიტაცია, სადაც არის ერთი ფიგურა და დანარჩენი ყველა პაიკია. ასეთ სისტემაში ვცხოვრობთ.

კი ბატონო, შეიძლება კობახიძეს შეიძლება დაარქვათ მეორე პირი ან დაარქვათ მესამე. ორივე სწორი იქნება. იმიტომ, რომ იქ ყველა ერთი დიდი რუხი მასაა და მეტი არაფერი.

# ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების ხოცვა გრძელდება

## რა გახდა 29 წლის ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალების მიზეზი

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს ხელისუფლება ხშირად იწონებს თავს იმით, რომ აფხაზებს და ოსებს უფასოდ ვმკურნალობთ. გვიმტკიცებენ, რომ ეს აფხაზების და ოსების გულების მოგების ერთ-ერთი გზაა.**

ეს ერთ-ერთი გზა აშკარად ვერ ამართლებს, მართალია ამ გზამ უამრავი აფხაზის და ოსის სიცოცხლე გადაარჩინა, მაგრამ ოკუპირებულ რეგიონებში დარჩენილ ქართველებს ამ კეთილმა ჟესტმა სიკეთე ვერ მოუტანა. იქ ქართველებს ისე უყურებენ, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანებს და, შესაბამისად, არც მათ სიცოცხლეს აქვს ფასი.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ გალის ტერიტორიაზე 29 წლის ირაკლი კვარაცხელიამ თავი მოიკლა. აფხაზური მედიის მტკიცებით, ქართველმა ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო.

ამასთან დაკავშირებით პირველი განცხადება ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ გააკეთა. აფხაზი ჩინოსანი ამბობს, რომ გალში გარდაცვლილი ირაკლი კვარაცხელია რუსი მესაზღვრეების მიერ იყო დაკავებული.

– კვარაცხელია რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის. ეს მოხდა 12 მარტს, 16 საათზე და 55 წუთზე. კვარაცხელია სოფელ ნაბაკევში გადაიყვანეს.

ის დატოვეს ოთახში, რათა მას განმარტებითი ბარათი დაეწერა. თუმცა, რამდენიმე ხანში იგი ამ ოთახში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ეს ყველაფერი ერთი საათის განმავლობაში მოხდა, – აცხადებს დაურ კოვე.

ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

– 12 მარტს, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მისიის მიერ ოპერირებადი ცხელი ხაზის მეშვეობით შეიტყო ბატონი ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალების შესახებ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას სურს სამძიმარი გამოუცხადოს გარდაცვლილის ოჯახს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, მისი სადამკვირვებლო ფუნქციის ფარგლებში და მისი მანდატის შესაბამისად, ყურადღებით აგრძელებს მოვლენების განვითარებაზე დაკვირვებას .

მისიის მიერ ოპერირებადი ცხელი ხაზი უკვე იყო გამოყენებული და გრძელდება მისი აქტიურად გამოყენება ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით კომუნიკაციისთვის.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მზადაა ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას ცხელი ხაზის ან სხვა შესაბამისი მექანიზმის საშუალებით, – ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში.

მართალია აფხაზები თვითმკვლელობის ვერსიის გამყარებას ცდილობენ, მაგრამ თვითმხილველთა ინფორმაციით, ცხედარს ფიზიკური დაზიანების კვალი აღენიშნება.

ადგილობრივების ინფორმაციით, 29 წლის ახალგაზრდა ოკუპანტებმა ცემით მოკლეს. მათი თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს რუსულ სამხედრო ბაზაზე სცემეს, დაზიანებები მას თავისა და ზურგის არეში ჰქონდა მიყენებული.

კიდევ ერთი ვერსიით კი, დაკავებულ ირაკლი კვარაცხელიას გული გაუსკდა და ეს გახდა გარდაცვალების მიზეზი.

შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი მიიჩნევს, რომ სანამ ყველაფერი გაირკვევა, ზედმეტი განცხადებების გაკეთება საჭირო არ არის.

ციხელაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალების ვერსიებზე მეტი დეტალი გაირკვევა, ამის შემდეგ იქნება ახალი განმარტებების გაკეთება შესაძლებელი.

მინისტრი უკმაყოფილოა ოპოზიციის განცხადებით. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება ხელისუფლების უმოქმედობისა და მაამებლური პოლიტიკის შედეგია. ციხელაშვილი აცხადებს, რომ უკვე 10 წელია, რაც მახინჯი პრაქტიკა გრძელდება და მაშინ ხელისუფლებაში იგივე წარმომადგენლები იყვნენ, ვინც დღეს ამაზე საუბრობს.



– ვისაც არ უნდა ეთქვა საყვედურები, მისამართი ალბათ ძალიან შეეშალათ. ამას აკეთებს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი. თუ მაინც ხელისუფლებაზეა საუბარი, ალბათ ერთი სიტყვა „ყოფილი“, რომ დაემატებინა, უფრო გამართლებული იქნებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ამ რეალობას უკვე 10 წელია ვებრძვით.

ამ შემთხვევაში იმაზე არ ვსაუბრობ, რომ შეიძლება ეს ვინმემ მიზანმიმართულად თუ არამიზანმიმართულად გააკეთა. ფაქტი და მოცემულობა არის ის, რომ საუბედუროდ 10 წელია ასეთი მახინჯი პრაქტიკა გრძელდება და მაშინ ხელისუფლებაში ალბათ იგივე წარმომადგენლები იყვნენ, ვინც დღეს ამაზე საუბრობს, – აღნიშნავს მინისტრი.

„ევროპული საქართველო“ ითხოვს, რომ ირაკლი კვარაცხელიას სახელი და გვარი „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიაში შევიდეს. ამის პასუხად ციხელაშვილი აცხადებს, რომ ამ საკითხზე საუბარი დღეს სპეკულაცია იქნება.

– მოვუწოდებ ოპოზიციას, ხელისუფლებას, ყველა ადამიანს, მათ შორის, მედიასაც, როდესაც ასეთი დიდი უბედურება ხდება, 29 წლის ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი, ტრაგედიებით ნუ ვისპეკულირებთ. ეს ნორმალური არ არის. მე ამას სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ვუდგები. მისი დაკავება რომ აბსოლუტური უკანონობაა, ეს მოცემულობაა. რა მოხდა, რა გარემოებაში მოხდა მისი გარდაცვალება, ვერსიებზე ვერ ვისაუბრებ, მით უფრო, გარკვეული მოლოდინები მაქვს, რომ მეტი დეტალი გაირკვევა და ამის შემდეგ განმარტებების გაკეთება შემეძლება, – განაცხადა ციხელაშვილმა.

კვარაცხელიას გარდაცვალებას საქართველოს სახალხო დამცველიც განცხადებით ეხმაურება:

– საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ირაკლი კვარაცხელიას უკანონო პატიმრობაში ყოფნის დროს გარდაცვალების გამო და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, საერთაშორისო მექანიზმების მაქსიმალური გამოყენებით, ძალისხმევა არ დაიშუროს ეფექტური გამოძიებისა და სავარაუდო დამნაშავეების პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად.

შემაშფოთებელია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გარდაცვლილის მიმართ დაკავების დროს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე, რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ კვარაცხელიას ცხედარი უმოკლეს ვადებში გადმოეცემა საქართველოს ხელისუფლებას, რათა დროულად ჩატარდეს სამედიცინო ექსპერტიზა და დადგინდეს გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქის ირაკლი კვარაცხელიას ე.წ. „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით დაკავება არის თავისუფლების უკა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სერგი კაპანაძე: „პროკურატურას დღემდე ფარცხალაძე-შოთაძის კლანი მართავს“

## თადუმაძეს იმის უფლებაც კი წაართვეს, რომ თავისი მოადგილისთვის საყვედური ეთქვა“

ლელა მდივანი

ხორავას ქუჩაზე მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მკვლელობის საქმეზე დანაშაულის დაფარვისთვის მსჯავრდებული, პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი, მირზა სუბელიანი, გლდანის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებას 4 თვეში – 9 ივლისს დატოვებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სუბელიანს 1 წლითა და 1 თვით პატიმრობა შეუფარდა, საიდანაც მას 9 თვე უკვე მოხდილი აქვს. მას ბრალდება დანაშაულის შეუტყობინებლობიდან, დანაშაულის დაფარვით გადაუკვალიფიცირდა.

რატომ მიიღო მოსამართლემ მირზა სუბელიანისთვის ბრალის შემსუბუქების გადაწყვეტილება, როცა ის ერთ-ერთი ვერსიით, გამოძიებაზეც ზემოქმედებდა და უფრო მძიმე ბრალს იმსახურებდა, სრულდება თუ არა ხელისუფლებასთან „შეთანხმებული სასჯელის“ პირობა, რა გააფუჭა პროკურატურამ და რა კითხვები დარჩა ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული მკვლელობის საქმეში, ამაზე „ახალ თაობას“ „ევროპული საქართველოს“ ლიდერი სერგი კაპანაძე ესაუბრა.



**სერგი კაპანაძე:**

– საგამოძიებო კომისიის არც ერთი რეკომენდაცია პროკურატურამ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, მან აიღო პასუხისმგებლობა იმ ყველაფერზე, რაც გააფუჭა ამ საქმეში და აუცილებლად მოუწევს პასუხისგება ამ ყველაფერზე.

***– რა მოსაზრება გაქვთ, რის გამო მოხდა მირზა სუბელიანისთვის ბრალდების გადაკვალიფიცირება?***

– ყველამ ვნახეთ ის ჩანაწერები, სადაც საუბრობს თვითონ სუბელიანიც, რომ შეთანხმებული სასჯელი იყო. ეს განხორციელდა რეალურად. ის, რაც გაჟონილი კადრებით იყო ცნობილი საზოგადოებისთვის, ის შეასრულა ახლა მოსამართლემ. აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო ხელისუფლების მხრიდან, რომ ეს მომხდარიყო. მირზა სუბელიანთან მიმართებაში, ჯერ ერთი, თვითონ ეს ბრალი არ არის ის კონკრეტული მუხლი, რაც რეალურად ჩანს საქმიდან. ის ზემოქმედებდა გამოძიებაზე და ამ მუხლით არ აქვს ბრალი წაყენებული. ბრალი დანაშაულის დაფარვაზე წაუყენეს და ახლა მისი კვალიფიკაციის შეცვლაც მოხდა, რაც ცალკე პრობლემაა კიდევ. პირდაპირ მძიმე მუხლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მუხლი არ გამოიტანა პროკურატურამ. უფრო მეტსაც გეტყვით, პროკურატურამ არც ის გააკეთა, რომ საგამოძიებო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები გაეანალიზებინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციებში იყო და უნდა შეესწავლა, საქმეში იყო თუ არა ცრუ ჩვენებაზე საუბარი.

მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ იყო და ჩვენ ეს რეკომენდაცია გავეცით. ეს არის შეკრული, ერთიანი სისტემა, რომელიც ხელს აფარებს კონკრეტულ ადამიანებს, მათ შორის მირზა სუბელიანსაც და ამიტომ მოხდა ბრალის გადაკვალიფიცირებაც. თუმცა, ილუზია არავის უნდა ჰქონდეს. ეს ადამიანები აუცილებლად დაისჯებიან. ეს საქმე იმდენად გახმაურებული და მნიშვნელოვანი საქმეა, რომ დღეს თუ არა, ხვალ, ყველა ის ადამიანი, ვინც ამ საქმის „ჩაფარცხვაში“ მიიღო მონაწილეობა, ვინც ხელი დააფარა, ვინც არ გამოიძია, ვინც შემდეგ საგამოძიებო კომისიის დასკვნა უგულებელყო, ყველა იქნება დასჯილი. ამაში ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს.

***– შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანები, ვინც კვალს ფარავდნენ, შესაძლოა ხელისუფლებასთან გარიგებაში იყვნენ?***

– შესაძლოა კი არა, ეს არის პირდაპირ პროკურატურის სტრუქტურა, მთლიანი პროკურატურის სისტემა. მთელი ვერტიკალი, რომელიც ფარცხალაძე-შოთაძის ვერტიკალია ფაქტობრივად და დღემდე ეს ვერტიკალი მართავს პროკურატურის სისტემას. არავის ჰქონდეს ილუზია, რომ თადუმაძე რამეს მართავს. თადუმაძე დანიშნეს, როგორც სახე უბრალოდ. მას იმის უფლებაც კი წაართვეს, რომ თავისი მოადგილე არათუ გაეთავისუფლებინა, საყვედური გამოეცხადებინა მისთვის. ეს არის სისტემა, რომელიც პირდაპირ მორჩილებაში არის ივანიშვილთან და ზუსტად იმას აკეთებს, რაც ივანიშვილს სურს.

***– თუ გაქვთ წვდომა გამოძიების მიმდინარეობასთან და რაიმე ახალი დეტალი თუ იკვეთება ამ საქმეში. წინ სვლა არის?***

– ყველა ინფორმაცია, რაც ჩვენ გვქონდა, გამოვაქვეყნეთ საგამოძიებო კომისიის მიერ. არაფერი ახალი არ ყოფილა. მარა ის დასკვნები, რომლებიც მივიღეთ, გაანალიზებულ იქნა. თუმცა, გათვალისწინებული არ ყოფილა და მასზე არანაირი რეაგირება პროკურატურას არ მოუხდენია. ამით ამ უწყებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის ჩვეულებრივი მხარეა, ისევე, როგორც ყველა სხვა მიმდინარე საქმეშია მხარე. როგორც ვთქვათ, „თიბისის“ საქმეში არის პროკურატურა მხარე, როგორც პოლიტიკური დევნის საქმეში არის პროკურატურა მხარე, ზუსტად, ამ შემთხვევაშიც, ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიაშიც მხარეს წარმოადგენს.

***– ზაზა სარალიძე მივიდა საქმის მასალების გასაცნობად შსს-ში, თუმცა მისი სურვილი იყო მასალებს პროკურატურაში გასცნობოდა და ფიქრობს, რომ თადუმაძე მის თავიდან მოშორებას ცდილობს. აქვს ამ ფაქტს მნიშვნელობა, სად გაეცნობა საქმის მასალებს? აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთავარ პროკურორს არ სურს, რომ ზაზა სარალიძე ამ უწყებაში შევიდეს?***

– ეგ არის ერთგვარი კომპონენტი ამ პრობლემის, რომ ისინი ამ შემთხვევაში, დაზარალებულს საშუალებასაც კი არ აძლევენ, რომ საქმის მასალებს გაეცნოს, მაგრამ მთავარი ამბავი ის არის, რომ ისინი ამას აკეთებენ იმისთვის, რომ არ მოხდეს ამ საქმის ბოლომდე მიყვანა და ხელი დააფარონ იმ ადამიანებს პროკურატურაში, რომლებიც პირდაპირ იქნენ მხილებული საგამოძიებო კომისიის მიერ ამ გამოძიების „ჩაფარცხვის“ საქმეში.



***– ამ დრომდე კონკრეტულად რა კითხვები დაგრჩათ გამოძიებასთან?***

– რჩება იგივე კითხვები. უბრალოდ, ახლა უფრო გამძაფრდა ის, რომ რაც გავიგეთ ამ გაჟონილი კადრებით და ჩანაწერებით, ეს იყო შეთანხმებული სასჯელი. ზუსტად ახლა დადასტურდა, რომ ასეა. კიდევ ბევრი სხვა კითხვა დარჩა, რომელიც დაისვა. მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილიყო ბრალი წაყენებული კონკრეტული ახალგაზრდისთვის, მ.კ - სთვის. საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ის თანამშრომლები ჩამოშორებული ყოფილიყვნენ ამ უწყებებს და მათ მიმართ უნდა ყოფილიყო გამოძიება დაწყებული. ეს კითხვა ისევ ძალაშია. ასევე ცრუ ჩვენებებთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო საქმე აღძრული და ა.შ. ეს ყველაფერი არ მომხდარა. საგამოძიებო კომისიის არც ერთი რეკომენდაცია პროკურატურამ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, მან აიღო პასუხისმგებლობა იმ ყველაფერზე, რაც გააფუჭა ამ საქმეში და აუცილებლად მოუწევს პასუხისგება ამ ყველაფერზე.

# მოქალაქეებისთვის სარეკლამო SMS-ის გაგზავნა, მათი თანხმობის გარეშე, შესაძლოა, აიკრძალოს



მოქალაქეებისთვის, მათი თანხმობის გარეშე, სარეკლამო SMS შეტყობინებების გაგზავნა შესაძლოა, აიკრძალოს.

როგორც bpn.ge წერს, ამის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელმა ოთარ ჩახუნაშვილმა რადიო „პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადების პარლამენტში წარდგენას აპარატი მიმდინარე წელს გეგმავს.

– ვფიქრობთ, რომ საკანონმდებლო დონეზე ამ საკითხების დარეგულირება აუცილებელია. ვგეგმავთ, პარლამენტს წარვუდგინოთ საკანონმდებლო წინადადება, რომლის თანახმადაც, მხოლოდ მოქალაქეთა თანხმობით მოხდება SMS-ების დაგზავნა და მიღება, – აღნიშნა ჩახუნაშვილმა.

# „თავი დაანებოს პოლიტიკურ ჭინთვებს, ნუ იტანჯება“ – ბესელია კობახიძეს აფრთხილებს

„ქართული ოცნებიდან“ დემარშით წასული ეკა ბესელია პარლამენტის თავმჯდომარეს ურჩევს, „თავი დაანებოს პოლიტიკურ ჭინთვებს“.

– მე ვურჩევ მასაც და სხვებსაც, თავი დაანებონ ამ თემებზე სპეკულაციებს და ამ პოლიტიკურ ჭინთვებსაც თავი დაანებოს ან თქვას – რა არის ის სხვა მიზეზი, რის გამოც გადავდექი, ნუ იტანჯება, – თქვა „ტვ. პირველის“ ეთერში ბესელიამ.

მისი თქმით, „თუ ამ პატარა ბიჭებს ვერავინ ვერ აჩერებს და პატრონი არ გამოჩნდა, ვინც თავის ადგილს მიუჩენს, ძალიან მალე ეს მაინც მოხდება“.

# შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი

## აცხადებს კონკურსს

**ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად:**

- **შინაგანი მედიცინის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (ქართულენოვანი პროგრამისათვის);**
- **გასტროენტეროლოგია-ჰეპატოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის).**

საკონკურსო მოთხოვნები და კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი იხილეთ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.eastwestuni.ge

კონკურსში მონაწილეთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა და მათი რეგისტრაცია იწარმოებს 2019 წლის 15 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურში (10:00-17:00), მისამართზე – ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №9. საკონკურსო საბუთები კონკურსანტებს უკან არ უბრუნდებათ.

კონკურსი ტარდება სამ ეტაპად (საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა, პირველადი შეფასება, დოკუმენტაციის განხილვის შედეგად შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება და შეჯერება – გადაწყვეტილების მიღება) 2019 წლის 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 1 მაისისა.

# ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების ხოცვა გრძელდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნონო აღკვეთის ფაქტი, რასაც, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ხშირად აქვს ადგილი და წარმოადგენს მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილებისა და უსაფრთხოების უხეშ დარღვევას საოკუპაციო ძალების მხრიდან.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის აუცილებლობას და საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო თანამეგობრობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს, -– ნათქვამია განცხადებაში.

ირაკლი კვარაცხელიას ტრაგედიას ემოციურად გამოეხმაურა სამართალდამცავთა დაცვის ლიგის ხელმძღვანელი ზაზა ჭაია.

მისი თქმით, საქართველოს ოდნავ მეტი თავმოყვარეობა რომ ჰქონოდა, ოკუპანტები და მათი საყმო ქართველების დახოცვას ვერ გაბედავდნენ.

– ოკუპირებულ აფხაზეთსა და შიდა ქართლში არა თუ ქართველების გენოციდის მომწყობნი (ჯერ კიდევ აფხაზეთის ომიდან), მკვლელები და მწამებლები, არამედ ქართველების „უბრალოდ“ დამცირებაში შემჩნეული ოკუპანტები თუ სეპარატისტები თავს დაცულად ოდნავადაც ვერ გრძნობდნენ, ვერც გარეთ და ვერც ოჯახებში, სამხედრო დანაშაულში და ადამიანურობის წინაშე დანაშაულში მხილებულ მხეცებს სახელმწიფო ან აქეთ გადმოათრევდა (მარეკ დუდაევი და სხვ.) და სასამართლოს წინაშე წარადგენდა, ან იქვე, ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში უმკაცრესად ისე სჯიდა (აქ ყველაფერს ვერ დავწერ), რომ სხვას ეთნიკურ ნიადაგზე არა თუ ქართველის მოკვლის, არამედ დამცირების სურვილიც უქრებოდა.

და თუ ვინმე მაინც გაბედავდა, დამფრთხალი ან ძებნილივით იმალებოდა, ან რფ-ში გარბოდა, თუმცა უკან დაბრუნებისას, თემიდის ან ნემსის მკაცრი ხელი მაინც სწვდებოდა. ასე იქცევა ყველა თავმოყვარე სახელმწიფო, ჩვენზე გაცილებით პატარაც კი. ჩვენსას კი ოდნავი თავმოყვარეობა, ნება, სურვილი და თავი, რომ ჰქონდეს, 31 წლის გიგა ოთხოზორიას მკვლელები ასე თავისუფლად ვერ ინავარდებდნენ, 35 წლის არჩილ

ტატუნაშვილის მწამებლები და მკვლელები ყურის ძირში ვერ ილაღებდნენ, 29 წლის ირაკლი კვარაცხელიას სიცოცხლეს ასე თავხედურად ვერ შებედავდნენ და იქით ქართველებიც უფრო პატრონიანად და დაცულად იგრძნობდნენ თავს, – აცხადებს ზაზა ჭაია.

# გიორგი ოთხმეზური: „მონარქია განსაკუთრებულს არაფერს მოგვიტანს, არც პოლიტიკა შეიცვლება და არც ეკონომიკა“

ნათია ხურცილავა

ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ოთხმეზური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მონარქიის აღდგენის იდეაზე და ბაგრატიონთა სასამართლო პროცესზე საუბრობს.

***— ბატონო გიორგი, თქვენ ბაგრატიონთა სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მომხსენებელი იყავით. რითი იყო დაინტერესებული სასამართლო, რა კითხვები დაგისვეს?***

— საქმე ისაა, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელი საზღვარგარეთ აცხადებს, რომ ბაგრატიონთა სახლის თუ საგვარეულოს წინამძღოლია. მედლებს გასცემს, არიგებს სიგელებს, რაღაცას ყიდის, აჭრელდა უცხოური პრესა. ეს ყველაფერი შეურაცხმყოფელია ბაგრატიონთა საგვარეულოსთვის. ამიტომ მიმართეს სასამართლოს, რომ ამ სტატუსის გამოყენება აეკრძალოს დავით მუხრანელ-ბაგრატიონს. ალბათ, უნდა, რომ ბაგრატიონთა სახლის წინამძღოლად მართლა აღიარონ. ისტორიულად კი ეს სტატუსი ეკუთვნის ნუგზარ ბაგრატიონს.

ამ სახლს იურიდიულად არაფერი უფლებები არ გააჩნია, მაგრამ მე ვთვლი, რომ როგორც კულტურული მემკვიდრეობა, სტატუსი უნდა მიენიჭოს.

რაც შეეხება წინამძღოლს, როგორც გითხარით, ბაგრატიონთა სახლის წინამძღოლის სტატუსის უფლება აქვს მხოლოდ ნუგზარ ბაგრატიონს.

***— რატომ?***

— რადგანაც ის არის ერეკლე მეორესა და გიორგი მე-12 ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების პირდაპირი შთამომავალი. ნუგზარ ბაგრატიონი და მისი ოჯახის წევრები არიან სწორედ ბაგრატიონთა შტოს პირდაპირი წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, გიორგი მე-12 კი ერთიანი საქართველოს მეფის, გიორგი მე-8 შთამომავალი იყო.

რაც შეეხება დავით მუხრან-ბაგრატიონს, ის ნამდვილად არ არის ძირითადი ხაზის წარმომადგენელი. ის, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს, გვერდითი შტოს წარმომადგენელია. მართალია ბაგრატიონ-მუხრანბატონები გარკვეული პერიოდი, 70 წელი მეფეები იყვნენ, მაგრამ გარკვეული ისტორიული კატაკლიზმების შედეგად. მაგალითად, ასეთივე გვერდითი შტოს წარმომადგენლები არიან ბაგრატიონ-დავითიშვილები.

ამიტომ, დავით ბაგრატიონ-მუხრანელს არა აქვს უფლება, თავი ბაგრატიონთა სახლის წინამძღოლად გამოაცხადოს და სიგელები გასცეს, მედლები დაარიგოს, განცხადებები გააკეთოს ბაგრატიონთა სახლის სახელით.

***— თუ ერეკლე მეორეს პირდაპირი შთამომავალია ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, სიხარულიძე როგორ არის? საიდან გაჩნდა ეს გვარი?***

— ეს არის მოგონილი ამბავი. ტყუილი. მე ვერ გეტყვით, საიდან მოიტანეს და როგორ მოიგონეს. არანაირი სიხარულიძე.

***— თქვენ მაინც რა ეჭვი გაქვთ, საიდან გაჩნდა ეს გვარი?***

— მოწინააღმდეგე მხარემ მოიგონა. მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ ნუგზარ ბაგრატიონი არ არის ბაგრატიონი და მათ ეკუთვნით ბაგრატიონთა გვარის, სახლის წინამძღოლობა.



***— როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც სიხარულიძე და არა სხვა გვარი?***

— მერწმუნეთ, სხვა გვარი რომ ყოფილიყო, ზუსტად იგივე კითხვა გაჩნდებოდა.

***— ბატონო გიორგი, ასეთი კითხვაც დაგისვეს პროცესზე, შეიძლებოდა უკანონო შვილი ყოფილიყო? თუმცა, ამის გარკვევა ალბათ სასამართლოს პრეროგატივაა.***

— უკანონო შვილს ქართული კანონმდებლობით მამისეული არაფერი არ ეკუთვნის. სწორედ ეს უნდა დავით მუხრანელს, რომ ნუგზარის მამა პეტრე, პეტრეს ძე თითქოს იყო უკანონო შვილი და ამიტომ მას არ ეკუთვნის წინამძღოლობა, მაგრამ თბილისში ყველა იცნობდა ამ ოჯახს და არაფერი მსგავსი ჭორადაც არ თქმულა. 20-იან წლებში კაცი დაიბადა, მაშინ არაფერი არ თქმულა და დღეს ამათ საიდან გაიგეს და მოიტანეს, არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით.

***— თქვენი პოზიცია როგორია მონარქიის აღდგენასთან დაკავშირებით? თქვენ ხართ მომხრე?***

— კონსტიტუციური მონარქია თუ აღდგა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. ყველაზე ცოტა, 20 წლის შემდეგ, მანამდე ამის არავითარი საფუძველი არ არის.

***— ჩვენ 200-წლოვანი წყვეტა გვაქვს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არც ერთი დღე არ იყო მონარქიის წყვეტა, მიუხედავად ამისა, ბრიტანელები მაინც ეჭვით უყურებენ, შეინახონ თუ არა სამეფო ოჯახი.***

— გასაგებია, მაგრამ არავინ არაფერს არ უხდის ბაგრატიონთა სახლს, ისინი მხოლოდ სტატუსს ითხოვენ. 20 და 50 წლის შემდეგ რა იქნება, არ ვიცი. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს ითხოვენ. ბაგრატიონებს ქართველი ერის წინაშე დიდი დამსახურება აქვთ და ამიტომ მათ ეს სტატუსი ეკუთვნით. მეტი არაფერი. ბაგრატიონები ათასი წელი უწყვეტად, რაც არ ყოფილა ევროპაში, იყვნენ საქართველოს მეფეები. ასეთი პრეცედენტი დასავლეთში არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა.

***— დასავლეთში სხვადასხვა დინასტიები და გვარები ცვლიდნენ...***

— დიახ, ჩამოაგდებდნენ ერთ გვარს და მეორე გვარი ხდებოდა. ასეთი რამე ჩვენთან არ ყოფილა. ბაგრატიონები უწყვეტად იყვნენ. საქართველო სამეფოებად რომ დაიშალა, სამივე სამეფოში ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ თავიდანვე მონარქიის აღდგენის იდეას ცოტა ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავდა? საზოგადოების განწყობის შესახებ ალბათ გსმენიათ, ამ ქვეყანას მეტი პრობლემა არა აქვს, ასეთია განწყობა...***

— ვიღაცა შეიძლება შინაგანად ამისთვის მზად იყოს, ვიღაც პირიქით — არ იყოს. ასეთი განწყობაც არის: მაგალითად, დღევანდელი პრეზიდენტი რა მოვალეობასაც ასრულებს, იგივე მოვალეობა შეასრულოს მონარქმა. ძალიან რთული საკითხია. უნდა გამოჩნდეს პიროვნება, ვინც მეფობის ღირსია. ათეული წლებია ამისთვის საჭირო. ყველაზე ცოტა, 20 წელი მაინც. ვერ გეტყვით, ამის შემდეგ რა იქნება, შეიძლება 20-30 წლის შემდეგაც არაფერი საფუძველი არ ჰქონდეს ამ იდეას, ისევე, როგორც დღეს არა აქვს.

***— როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას მონარქი?***

— რა გითხრათ, აბა, განსაკუთრებულს არაფერს. არც პოლიტიკა შეიცვლება დიდად და არც ეკონომიკა.

# საქართველოსა და გაზპრომს შორის ახალი შეთანხმება „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის დაბლოკვას დაემთხვა

## რა აქვს ჩაფიქრებული რუსეთს საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს მთავრობის წევრებმა საზოგადოებას სიხარულით ამცნეს, რომ საქართველოსა და რუსულ გაზპრომს შორის ადრე დადებული შეთანხმების პირობები სომხეთში რუსეთის გაზის ტრანსპორტირებაზე გაუმჯობესებულია. დეტალები კომერციულ საიდუმლოებად ითვლება. მათი თქმით, მოლაპარაკებებისას საქართველოს მხარე ხელმძღვანელობდა ენერგოდამოუკიდებლობისა და კონტრაქტის პირობების გაუმჯობესების მოტივებით.

წინა შეთანხმებას, რომელმაც საქართველოში დიდი ხმაური გამოიწვია, ვადა გაუვიდა. საქართველოს მთავრობასა და გაზპრომ ექსპორტს შორის ხელი 2017 წლის იანვარში მოეწერა. პირველ წელს გათვალისწინებული იყო ტრანზიტისათვის გაზის მიღება, მეორე წელს — ფულადი საფასური. ოპონენტების შეშფოთებას სწორედ გასაიდუმლოებული ფულადი საფასური იწვევდა. მათი შეფასებით, საქართველომ ამ საკითხში თავისი ინტერესები არ დაიცვა.

ახლანდელი პირობებიც გასაიდუმლოებულია. ამიტომ, საზოგადოებამ ახლაც არ იცის, რა დათმო თბილისმა ოკუპანტი ქვეყნის კომპანიის წინაშე.

მთავრობის ინფორმაციით, საქართველოს მთავარ მომწოდებლად ამ სფეროში აზერბაიჯანი რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის მინისტრ ქობულიას განცხადება, რომელიც საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც სახიფათოდ აღიქვეს, არ გამართლდა. მან არც ისე დიდი ხნის წინ რუსეთიდან გაზის შესყიდვა არ გამორიცხა.

საქართველო-გაზპრომის ურთიერთობების დათბობა დაემთხვა რუსეთისთვის დამაზიანებელ სერიოზულ ძვრებს ენერგოპოლიტიკაში — ევროპარლამენტმა მოუწოდა შესაბამის ადრესატებს, გააჩერონ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“, რომელიც რუსეთ-გერმანიის ერთობლივი პროექტია.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეს გაზსადენი აძლიერებს ევროკავშირის დამოკიდებულებას რუსეთის გაზის მოწოდებაზე, ემუქრება ევროპის შიდა ბაზარს და არ შეესაბამება მის ენერგოპოლიტიკას.

ამავე რეზოლუციაში საუბარია მომავალ ახალ ანტირუსულ სანქციებზე კონკრეტული პირებისათვის, მოსკოვისთვის წვდომის შეზღუდვაზე ფინანსებსა და ტექნოლოგიებზე.

რეზოლუციაში ჩაწერილია, რომ ევროკავშირი აღარ თვლის რუსეთს თავის სტრატეგიულ პარტნიორად და აუცილებლად მიიჩნევს 1994 წელს რუსეთთან დადებული შეთანხმების გადასინჯვას.

რეზოლუციაში ნახსენებია სკრიპალების მოწამვლა, ასევე უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევა.

საქართველოს მთავრობის წევრები გამუდმებით ირწმუნებიან, რომ საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობის უმაღლეს დონეზეა.

საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, თუმცა საქართველოს კონფლიქტებს ძალიან იშვიათად ახსენებენ ამა თუ იმ დოკუმენტში. იმ დროს, როცა ოკუპაციის მსხვერპლთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები — გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლები აყენებენ ახალ იდეებს, თუმცა ისინი ქართველების უსაფრთხოებას ვერ იცავს. მაგალითად, ეუთოს წარმომადგენელი რუდოლფ




მიხალკა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას ჰპირდება, რომ სამუშაო ჯგუფების წინაშე წამოსწევს ხანძრებისა და წყალმომარაგების საკითხებს.

ამ დროს, გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული დაძაბულობის ფონზე ძლიერდება რუსეთის აგრესია და ჰიბრიდული მეთოდები, რასაც ეწირებიან რიგითი დაუცველი მოქალაქეები.

# „კალაძის მავნებლური ბიზნესგეგმა“ — საკრებულოს წევრები თბილისის მერს გენგეგმის გაუარესებაში ადანაშაულებენ

თბილისის გენერალური გეგმა რამდენიმე დღეში უნდა დამტკიცდეს.

საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ირაკლი ნადირაძე „ნიუპოსტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თბილისის გენგეგმა არის კახა კალაძის ბიზნეს გეგმა, რომელიც დედასქალაქის სასიკეთოდ, რეალურად არაფერს შეცვლის:

— საკრებულოს გაერთიანებულ კომისიებზე გამოვიდა და პარასკევს უკვე აპირებენ საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცონ. ძნელია წარმოდგენილ დოკუმენტს გენერალური გეგმა უწოდო. ჩვენ მას უკვე ვუწოდეთ კალაძის ბიზნესგეგმა, რადგან ფაქტობრივად, ერთი წელი მან შეაჩერა მიღება, მოსახლეობა მოატყუა, როდესაც თქვა, რომ იმიტომ არ ამტკიცებდა, რომ უნდა დახვეწილიყო რუკები,



სინამდვილეში ამ ერთი წლის განმავლობაში, მან გასცა ძალიან ბევრი მავნებლური მშენებლობის ნებართვა, მათ შორის იმ ტერიტორიებზე, რომელზეც გენგეგმა იძახდა, რომ იქ რეკრიაცია უნდა იყოს. ეს გენერალური გეგმა ვერ მოაგვარებს თბილისელების პრობლემებს, როგორიცაა გამწვანების პრობლემა, საცობების პრობლემა, პარკირების პრობლემა, რაც მთავარია, მავნებლური მშენებლობების პრობლემა, რადგან მაგალითად, ისევ ისე შეუძლია თბილისის მერს ექსკლუზიურად გასცეს რეკრეაციულ ზონებში სააგარაკე სახლებისა და სახლების მშენებლობის ნებართვა.

მას ისევ ისე შეუძლია გადაამეტოს კოეფიციენტები, მიუხედავად იმისა, რომ მოატყუა თბილისელები, რომ ეს ფაქტობრივად, აღარ მოხდებოდა. მათ დაადასტურეს, რომ გენგეგმის მიღება არ ნიშნავს იმას, რომ თუ ის იტყვის, რომ აქ რეკრეაციული ზონაა, არ შემოვა საკრებულოში ზონალური ცვლილება, სადაც რეკრეაციულ ზონას საცხოვრებელ ზონად გადააკეთებენ. ერთი კონკრეტული ეტალი არსებობს, მაგალითად, რეკრეაციულ ზონაში, გამონაკლისის წესით, თუ შესაძლებელი იყო არაუმეტეს 9 მეტრიანი შენობის აშენება, ახლა უკვე, ოთხსართულიანი სახლების მშენებლობაა დასაშვები. ეს უკვე მათ დამოკიდებულებას გამოხატავს, რომ ისინი არანაირად აპირებენ ამ მიმართულებით რაიმე შეზღუდონ, პირიქით აპირებენ, რომ დაახლოებულ კომპანიებისთვის იყოს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, რათა აკეთონ რაც უნდათ და როგორც უნდათ, — განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

# გელა ნიკოლაიშვილი: „ციხეები ისევ გაივსო“

ნონა ცაბაძე




„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გელა, აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში დანაშაულმა იმატა. ამის მიზეზად კი სახელდება ის, რომ არის დაუსჯელობის სინდრომი. რა მდგომარეობა ამ კუთხით?***

– დავიწყებ დაუსჯელობის სინდრომით და ამას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. აი, ახლაც ციხიდან გამოვედი და აქაც საუბრობენ იმას, რომ იმდენად მოიმატა პატიმრების რაოდენობამ, რომ თითქმის მიუახლოვდა სააკაშვილის დროს პატიმრების რაოდენობას.

***– ანუ გაივსო ისევ ციხე?***

– დიახ, გაივსო და ამის მიზეზი არის ის, რომ საკმაოდ მკაცრი პოლიტიკა ტარდება სისხლის სამართლებრივი დევნის. ასევე სასამართლოებმა, განსხვავებით პირველი წლებისგან, საკმაოდ მოუკლეს როგორც გირაოს შეფარდებას, ასევე გამამართლებელ განაჩენებს.

***– სასამართლოს მხრიდან არსებული ლმობიერება ხომ არ გახდა ქვეყანაში დანაშაულის მატების მიზეზი? ეს შეცდომა ხომ არ იყო?***

– მე არ მგონია, რომ ეს შეცდომა იყო. მაშინ ისეთ ვინმეებს კი არ ამართლებდნენ, ვისაც არ ეკუთვნოდა. მაშინ იყო ობიექტურად კრიტერიუმები და ნამდვილად თანაბარი პირობები დაცვასა და ბრალდების მხარეებს შორის და თანაბრად აფასებდნენ მოსამართლეები.

***– შეიცვალა ეს მიდგომები?***

– ახლა რატომღაც, ბოლო პერიოდია, ისეთი კრიტერიუმებია, რომ მოსამართლეები გადაიხარნენ პროკურატურის მხარეს. მე არ ვიცი, ეს მითითებაა, პოლიტიკაა, თუ რა. მე ვერ შევადარებ იმას, რაც იყო სააკაშვილის დროს – იქ აზრი არ ჰქონდა ადვოკატის შრომას და ადვოკატის მიერ მტკიცებულებების წარდგენას, თეთრზე მაინც შავს ამბობდნენ, მაგრამ დღეს თანაბარი პირობები აღარ აქვს დაცვას და ბრალდების მხარეს.

ბრალდების მხარის მიმართ სასამართლო გახდა გაცილებით ლოიალური და ლმობიერი, ხშირად მის არამყარ მტკიცებულებებზე თვალს ხუჭავს და მყარ მტკიცებულებებად აცხადებს. ეს რომ ასეა, მე ამას ვადასტურებ.

ასევე პროკურატურის მხრიდანაც გამკაცრდა საპროცესო შეთანხმებების გაფორმება ბრალდებულებთან. თუ ადრე იგივე დანაშაულზე ფორმდებოდა პირობითი, ან ძალიან მინიმალური წლებით, ახლა ან საერთოდ არ ფორმდება, ან თუ ფორმდება, მაგალითად, თუ მუხლია 7-დან 10 წლამდე, საპროცესოს სთავაზობენ 6 წელს, რასაც აზრი არ აქვს და პატიმარს ურჩევნია, ბოლომდე იბრძოლოს. ისეთი არარეალური რაღაცებია, რომ მე პირიქით მაქვს პრეტენზია.

***– რაზე გაქვთ პრეტენზია?***

– იმაზე, რომ საკმაოდ გამკაცრებულია გადაწყვეტილებები. ერთადერთი, რაც არ გამკაცრებულა და რაც კანონის ფარგლებში ისევ არის, ეს არის ციხეში პატიმრების მიმართ მოპყრობა. ეს მართლაც არის ადამიანური, ნორმალური, არ დაახლოებია იმ სასტიკ მეთოდებს და რეჟიმს, რაც იყო სააკაშვილის დროს.

აქ არის სტანდარტი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას. დიახ, ადამიანმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულისთვის, მაგრამ ადამიანურ პირობებში.

***– რით ხსნით სასამართლოს მხრიდან ასეთ გამკაცრებას და პროკურატურის პოზიციების გაზიარებას? იმით ხომ არა, რომ დანაშაულმა იმატა ქვეყანაში?***

– ამას ფსიქოლოგიური განწყობაც აქვს. ყოველდღე ამით იწყება ნიუსები, რომ ის გაძარცვეს, ეს დააყაჩაღეს, აგერ დანაშაულის სტატისტიკამ მოიმატა, როგორც ჩანს, ეს მოსამართლეებზეც მოქმედებს, რომ იქმნება კრიმინოგენური სიტუაცია და მერე ჩვენ არ დაგვაბრალონო.

***– საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის ქვეშ მოექცა სასამართლო?***

– არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის, არამედ პოლიტიკოსების გავლენის ქვეშაც, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი თავისთავად მოქმედებს პოლიტიკოსების პოზიციებზე, ან თუნდაც პირიქით – პოლიტიკოსების პროპაგანდა მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე და ყველაფერი ერთად არის ამ შეცვლილი პოლიტიკის შედეგი.

***– რას იტყვით დანაშაულის მატებაზე?***

– სტატისტიკა ადრე არ იყო სრულად და ობიექტურად გამჟღავნებული. როდესაც სრულად აღწერ, ბუნებრივია, ეს მოიმატებს. თუმცა აქვე გეტყვით, რომ გახსნის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. მე არ ვიტყვი, რომ 80 და 90%-ით უნდა იყოს გახსნა, ეს არანორმალურია, მაგრამ 40% როცაა გახსნის მაჩვენებელი, ეს უკვე კარგ მაჩვენებლად ითვლება. თუ გვესმის, რომ აქ მოხდა მკვლელობა, მოხდა დაყაჩაღება, ორ-სამ დღეში, ან იმავე დღეს გვესმის, რომ გახსნეს დანაშაული.

ვერ ვიტყვით, რომ არაეფექტურად მუშაობენ. თუმცა ხშირად იმაზე მეტად მკაცრები არიან, ვიდრე უნდა იყვნენ.

***– ჩადებები ხშირია?***

– ასე მასობრივად ამ ბოლო ხანებში აღარ მსმენია, მაგრამ არც უამისობაა. არის იგივე მუქარები ასეთი ადამიანების მიმართ.

***– აქტიურად საუბრობენ, რომ ციხე ისევ ქურდებისგან იმართება, რომ ქვეყანაშიც იმატა ამ მენტალიტეტის ადამიანთა რიცხვმა და ქვეყანასაც ასე თუ ისე აკონტროლებენ. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არის სრული სისულელე, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ კანონიერი ქურდების მიმართ და საერთოდ ყველა დანაშაულის მიმართ უფრო გაამკაცრა მუხლები. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მუხლს, რომელიც ამ 7 წლის განმავლობაში ლიბერალიზაციისკენ წასულიყო. ან შემცირებულიყო სასჯელები. მუხლი, რომელიც შეიცვალა, ყველა შეიცვალა გამკაცრების თვალსაზრისით.

კანონიერი ქურდი არ არის დღეს საქართველოში. უკვე ქუჩური გარჩევის კრიმინალიზაციაც ხდება. ვილაცასთან რომ წაკამათდე, ვთქვათ, მევალე შეგხვდა და შენი ვალი მოსთხოვე, ან დაემუქრე, ამისთვის უკვე ციხეა და ეს არანორმალურია. ან თუნდაც მცირე კონფლიქტიც კი ოჯახში ოჯახურ ძალადობად ითვლება და გავსებულია ციხეები ასეთი დანაშაულის ჩამდენი ადამიანებით. გლდანის ციხის ნახევარი სწორედ ამ მუხლით არის გავსებული.

***– ამ ტიპის დანაშაულებებმაც იმატა?***

– იმატა კი არა, ციხეების ნახევარი ამ მუხლით არის სავსე. ნებისმიერი ოჯახური კონფლიქტი, თუნდაც მეზობელმა რომ დარეკოს, ამ ბინიდან ხმაური ისმისო, მაგისთვისაც ციხეა.

ყველა მიმართულებით არის მიდგომა გამკაცრებული, კანონები გამკაცრებული და არ ვიცი, რის გამო მატულობს დანაშაული. ასე ვერ შეაფასებ. ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ ვხედავთ, როგორი დანაშაულებები ხდება. მთავარია. რომ რეაგირება იყოს სამართალდამცავების მხრიდან და იხსნებოდეს დანაშაული.

როგორც ჩანს, ეს არის დემოკრატიული საზოგადოებისთვის სამწუხარო ნორმა – მთავარია, რამდენად იხსნება ეს დანაშაული და როგორ ებრძვის სახელმწიფო დანაშაულს და კრიმინალს.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ვადამდელი არჩევნები ხელისუფლების გადარჩენის შანსია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

***– ბატონო პაატა, აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ მმართველ გუნდში არ არის ერთიანობა, რომ სერიოზული პრობლემები აქვთ შიგნით. ასევე საუბრობენ საკადრო ცვლილებებზე ხელისუფლებაში. ზოგადად რა უნდა „ოცნებას“ და რას აპირებს?***

– „ოცნებას“ უნდა თავის თავის გადარჩენა, მეტი არაფერი! მას შემდეგ, რაც პროკურატურამ გამოაქვეყნა თავისი განცხადება ხაზარაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე, ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნება“ გახდა ქართული რეჟიმი! ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით შევარდნაძის რეჟიმზე, ნაციონალური მოძრაობის რეჟიმზე, მაგრამ მეტყველებაში არასდროს არ ვიყენებდით „ქართული ოცნების“ რეჟიმს. ეს ვინმეს რომ ეთქვა, პირადად მე ძალიან გავაპროტესტებდი. ამ პოზიციაზე ვიყავი არჩევნების მეორე ტურამდე.

***– მერე რა შეიცვალა?***

– არჩევნების მეორე ტურში უკვე სამარცხვინოდ მოიქცნენ და უკვე გამოჩნდა რეჟიმის ნიშნები. პროკურატურის პოზიციამ ეს კიდევ უფრო გაამყარა. პროკურატურა იცავს არა თუ სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ იცავს პარტიის ინტერესებს, ხელისუფლების ინტერესებს. ამიტომ დღეიდან უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ „ქართული ოცნების“ რეჟიმი. ისინი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მუშაობდნენ, რაც ასე არ არის. პროკურატურის ამ განცხადებამ დაადასტურა, რომ მთელი სამსახურები მუშაობენ ამ ერთი კონკრეტული პარტიის გადარჩენაზე, რომ ამ პარტიის გადასარჩენად მარტო ბიძინა ივანიშვილი კი არ დაბრუნდა, ივანიშვილის მხრიდან ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ როცა პროკურატურაც ფიქრობს ამ პარტიეს გადარჩენაზე, ეს შემაშფოთებელზე მეტია.

***– მათი მიზანია, რომ გამოიყენონ ყველა საშუალება და მესამე ვადით დარჩნენ ხელისუფლებაში?***

– რა თქმა უნდა და ამას ცდილობენ ნებისმიერი გზით. პროკურატურაც რომ ჩაერთო ამაში, ეს ძალიან შემაშფოთებელია. პროკურატურა წერილის შინაარსს კი არ აყენებს ეჭვქვეშ, თუ რა წერია შიგნით, არამედ წერილის ფორმას. ამ დროს წერილში საშინელება წერია! წერილში წერია, რომ შსს აშანტაჟებს წარმატებულ კერძო ბიზნესს, კერძო ბანკს.



***– რადგან თიბისი-ის თემას შევეხეთ, გკითხავთ, რა ხდება თიბისი ბანის გარშემო? რეალურად არის ეს შანტაჟი და მუქარა ბიზნესზე?***

– მამუკა ხაზარაძე შემთხვევითი ადამიანი არაა და არც ხელწამოსაკრავი ბიზნესმენია. არც წვრილი ბიზნესის წარმომადგენელია და არც საშუალო ბიზნესის. ის მსოფლიო ბიზნესის წარმომადგენელია. ხაზარაძე დაბეჯითებით ამბობს, რომ ჩემ წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა, რომ ეს არის ორკესტრირებული, რომ მე ამას ასე არ დავტოვებ და მე ვაპირებ ბოლომდე ბრძოლასო და როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს არ დაუჯერო?!

***– ანუ, თქვენ ამ წერილის ნამდვილობაში ეჭვი არ გეპარებათ?***

– ეჭვი არ მეპარება, მაგრამ საჭიროა მეტი გამოძიება. შესაძლოა წერილის ფორმა იყოს საკამათო, მაგრამ რაც ამ წერილში წერია, ეს პროკურატურას უნდა შეესწავლა. ის კი არ უნდა ეთქვა, რომ ამ წერილს არ ვენდობიო. ამ წერილში რაც წერია, ძალიან შემაშფოთებელია, ამიტომ პროკურატურა ვალდებულია შეისწავლოს ეს ყველაფერი.

***– პოლიტიკურ ჭრილში შეხედა პროკურატურამ და პოლიტიკური განცხადება გააკეთა?***

– წმინდაწყლის პოლიტიკური და არა სახელმწიფოებრივი. ეს არის უკვე რეჟიმი, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, საკუთარი თავის გადარჩენაზე და არა სახელმწიფო ინტერესებზე.

***– მამუკა ხაზარაძისგან ხომ არ მივიღებთ ახალ ოპოზიციონერ ლიდერს?***

– ბიზნესი ძალიან შორს არის პოლიტიკისგან. ბიზნესი სულ სხვაა და პოლიტიკა სულ სხვაა. იურისტი შეიძლება გახდეს კარგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, ეკონომისტი, მაგრამ ბიზნესმენი და კარგი პოლიტიკოსი, ეს იშვიათობაა.

***– ეს დაგვანახა ივანიშვილმა?***

– თუნდაც ტრამპი ნახეთ, ან თუნდაც ივანიშვილი, კი ბატონო. ბიზნესი ძალიან ზუსტი სფეროა. პოლიტიკა მითოლოგიაა. ხაზარაძე აცხადებს, რომ ეს წერილი გამოუგზავნა გახარიამ და საზოგადოების დიდ ნაწილს და, მათ შორის, მეც ამის მჯერა. შესაძლოა ეს სულაც მითია. ბიზნესში კი ასეთი მითები არ მუშაობს, ბიზნესში მუშაობს სიზუსტე. ბიზნესში ვერ მოიტყუები და ვერ იტყვი, რომ მილიონი დოლარი მაქვს. ეს ან გაქვს და ან არა. ბიზნესში არ მუშაობს მითოლოგიები. ხაზარაძეს გაუჭირდება თვითონ იყოს პოლიტიკოსი, ის შეიძლება დაეხმაროს პოლიტიკოსებს, მაგრამ მე ვერ ვხედავ მის წარმატებას პოლიტიკაში.

***– რით დასრულდება ეს ქაოსი ხელისუფლებაში? მივა „ოცნება“ 2020-მდე?***

– 2020-მდეც მივა და უკეთეს შემთხვევაში არჩევნების შედეგად შეიძლება პარლამენტში მიიღოს 30-40% დეპუტატებისა. დღეს მთავარი ამოცანაა, დარჩება მაჟორიტარული სისტემა თუ გადავალთ პროპორციულზე. „ოცნებისთვის“ ეს დიდი კრახი იქნება, რადგან როცა ჰქონდათ საკონსტიტუციო უმრავლესობა და შემდეგ მიიღებენ მთელი გასული დეპუტატების 30-40%-ს, ეს მათთვის უკვე სერიოზული კრახია. თუ „ქართული ოცნება“ წავიდა უპრეცედენტო რამეზე და მან გააყალბა არჩევნები, რომლის ნიშნებიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამოჩნდა, თუ თავში აუვარდათ და ჩათვალეს, რომ გაყალბებით გავლენ, მიიღებენ რევოლუციას! უარესს, ვიდრე მიიღო სააკაშვილმა და ვიდრე მიიღო შევარდნაძემ! ჯობია, რომ თვითონ გააკეთონ ინიცირება და წავიდნენ პროპორციული არჩევნებისაკენ. მართალია ნაკლებ ხმებს მიიღებენ, მაგრამ ხალხში მეტ პოპულარობას მოიხვეჭენ. წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენი ოპოზიცია ნაციონალების მხარეს აღმოჩნდება. ასეთი რაღაცების გათვლა უნდა შეეძლოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ თვლიან.

***– ვადამდელი არჩევნები არ იქნება?***

– მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ვადამდელი არჩევნების. ეს ისევ და ისევ ხელისუფლებას აწყობს. მე ამაში ვერ ვხედავ გამოსავალს, გამოსავალი მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“ იქნება.

# „ტავ ურბან ჯორჯიას“ მომსახურების სერვისი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება“

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მმართველი კომპანიის „ტავ ურბან ჯორჯიას“ მიერ დაწესებულ კაბალურ გადასახადებს აპროტესტებს. ამის შესახებ „ჯორჯიან ეარვეისის“ განცხადებაშია აღნიშნული.

მათივე ცნობით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ გაიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა.



როგორც თამაზ გაიაშვილი აცხადებს, „ტავ ურბან ჯორჯია“ ერთადერთ ეროვნულ ავიაკომპანიას ხელოვნურ წინაღობებს უქმნის და ფრენებს უზღუდავს.

მისივე თქმით, „ტავ ურბან ჯორჯიას“ მომსახურების სერვისი თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.

– მთელი ცხოვრება ავიაციაში ვმოღვაწეობ, 25 წელია, „ჯორჯიან ეარვეისს“ ვხელმძღვანელობ, გადასახადებს ვიხდი ქვეყნის სასარგებლოდ, ყველა წესის დაცვით. შარშან 20 მილიონის ინვესტიცია გავწიე იმისთვის, რომ ბიზნესი განვითარდეს. ხალხს პირდაპირი ავიარეისებით მგზავრობის შესაძლებლობა მივეცით დედაქალაქიდან. მინდა, მეტი გავაკეთო, უფრო ხელმისაწვდომი გავხადო ფრენა ყველა მგზავრისთვის, ვცდილობ ქვეყნის პოპულარიზაციასა და ტურისტული ნაკადების მოზიდვას. აღნიშნული დამოკიდებულება აეროპორტის მხრიდან კი არ მაძლევს საშუალებას, ვაკეთო სახელმწიფოებრივი საქმე, – განაცხადა თამაზ გაიაშვილმა.

## სუსმა ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი, საქართველოს მოქალაქეები: გოჩა გ. და რომან ქ. ქობულეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები ბირთვული მასალა „ურანის" გასხვისებას 2.800.000 აშშ დოლარად აპირებდნენ. დაკავებულების ჩხრეკის შედეგად ამოღებულ საგანზე ჩატარდა ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად მისი წონაა 40,19 გრამი და შეიცავს რადიოაქტიურ იზოტოპს „ურან-238"-ს, რომელიც მიეკუთვნება ბირთვულ მასალათა კატეგორიას. ამოღებული ნივთიერება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

გამოძიება ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველო.

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ინდონეზიის სახალხო საკონსულტაციო ასამბლეის ვიცე-სპიკერს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ლილუაშვილმა ინდონეზიის სახალხო საკონსულტაციო ასამბლეის ვიცე-სპიკერთან, ჰიდეიათ ნურ ვაჰიდთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე ისაუბრეს. დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ აღნიშნულ სფეროში საქართველოს გამოცდილებით. გრიგოლ ლილუაშვილმა ინდონეზიის სახალხო საკონსულტაციო ასამბლეის ვიცე-სპიკერს კორუფციასთან ბრძოლის კუთხით საქართველოში გატარებული რეფორმები და განხორციელებული ღონისძიებები გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორი შოთა რიჟამაძე, ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენლები, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნანა ბერიძე და ინდონეზიის სახალხო საკონსულტაციო ასამბლეის წევრები.

## 25 წლის ბაიკერი მამუკა ნაცვალაძე ოზურგეთში ავარიაში დაიღუპა



ავტოსაგზაო შემთხვევას ოზურგეთში ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

შემთხვევა გუშინ, 13 მარტს, დაახლოებით 12:00 საათზე რუსთაველის ქუჩაზე მოხდა. ერთმანეთს საპირისპირო მიმართულებით მავალი 2 მსუბუქი ავტომანქანა და მოტოციკლეტი შეეჯახნენ.

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლებმა მცირე დაზიანებები მიიღეს, მოტოციკლეტის მძღოლი, 25 წლის მამუკა ნაცვალაძე კი ადგილზევე გარდაიცვალა.

– მოვდიოდით მანქანით, აგერ, ამ მანქანით და უცბად შემოასკდა ეს მოტოციკლეტი, ეს ახალგაზრდა კაცი, მეტი არაფერი არ მახსოვს. ჩვენს გზაზე მოვდიოდით და იქედან გადმოსული პირდაპირ დაგვეტაკა, – განაცხადა მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა.

როგორც ოზურგეთის „მედალფას" კლინიკაში განმარტავენ, მამუკა ნაცვალაძე საავადმყოფოში მიყვანისას უკვე გარდაცვლილი იყო.

– სადღაც 14 საათისთვის 112-ის მიერ მოტანილია ახალგაზრდა, სავარაუდოდ, 25 წლის მამაკაცის გვამი. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ სიცოცხლისთვის ტრავმა იყო შეუთავსებელი, ქალა-ფუძის მოტეხილობა, ზემო და ქვემო კიდურების მრავლობითი მოტეხილობა. დაეწყო რეანიმაციული ღონისძიებები, სამწუხაროდ, უეფექტოდ, – აცხადებს სამედიცინო ცენტრის დირექტორი.

დაშავებულია ასევე კიდევ ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ნოდარ გვიჩიანი, რომელიც კალაძის ძმის გატაცების საქმეში ფიგურირებს, შსს–მ დააკავა



დაახლოებით ორი თვის წინ თბილისში, პეკინის გამზირზე შსს-მ წარსულში მრავალგზის ნასამართლევი პირი, ნოდარ გვიჩიანი დააკავა.

მისი სახელი არაერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება. მათ შორის, „თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობას და კახა კალაძის ძმის გატაცების საქმეს.

რა ბრალდებით იქნა ნოდარ გვიჩიანი დაკავებული, ამ კითხვით „ნიუპოსტმა" შს სამინისტროს პრესცენტრს მიმართა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, აღნიშნული პირი ნამდვილად არის დაკავებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

კრიმინალური წარსულის მქონეს ნოდარ გვიჩიანს, უწყების ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წინასწარი აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ნოდარ გვიჩიანის დედა, ლიდა გვიჩიანი „პრაიმტაიმთან" საუბრისას ადასტურებს, რომ მისი შვილი ნამდვილად დააკავეს, თუმცა კონკრეტულად რა დანაშაულს ედავება გამოძიება, არ აკონკრეტებს.

– იგივე ხდება, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ჩემს შვილს უკანონოდ დევნიან. ქვას ქვაზე არ დავტოვებ. სამი ბავშვის მამაა, პატარა ხუთი თვის არის, დაგვეცნენ სახლში და აიყვანეს, – ამბობს ლიდა გვიჩიანი, რომლის თქმითაც, მისი ოჯახი საზღვარგარეთ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას გეგმავს.

ლომინაძის მკვლელობისთვის დაკავებული გია გვიჩიანი, რომელსაც მაშინ უვადო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ყვება, რომ გვიჩიანმა კალაძის ოჯახს 200 ათასი გამოართვა გატაცებული ლევან კალაძის გამოსახსნელად, ხოლო ამ ფულის მითვისება აფრასიძეების ოჯახს დააბრალა.

როგორც ის ამბობს, აფრასიძეების ოჯახის ტრაგედიაც ნოდარ გვიჩიანის დამსახურებაა.

გია გვიჩიანი, რომლის საქმეც გადაიხედა და ის უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, აცხადებდა, რომ მისი დაპატიმრება ნოდარ გვიჩიანის ცრუ ჩვენებების საფუძველზე მოხდა.

## 13 წლის ლიზა ვადაჭკორია რუსთავში მე–8 სართულიდან გადავარდა და ადგილზე დაიღუპა




გუშინ, 13 მარტს, რუსთავში, ლეონიძის 4 ნომერში, 13 წლის ლიზა ვადაჭკორია 8 სართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.

გოგონა 11 წლის მეგობართან ერთად სახლის სახურავზე ავიდა. სურათის გადაღების დროს, სავარაუდოდ, არასრულწლოვანს ფეხი დაუცდა და სახურავიდან გადმოვარდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ლიზას ცხედარს საღამოს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტიზის ბიუროსთან იმყოფებოდნენ გარდაცვლილი ლიზა ვადაჭკორიას ახლობლები. ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ ვერსიას, რომ შესაძლოა გოგონა ე.წ. ლურჯი ვეშაპის თამაშში იყო ჩართული და კორპუსის სახურავიდან თავად გადმოხტა.

გარდაცვლილის ახლობლები ვარაუდობენ, რომ ბავშვი მეგობართან ერთად სახურავზე სურათის გადასაღებად ავიდა, როდესაც უბედური შემთხვევა მოხდა.

ლიზა ვადაჭკორია და მისი მეგობარი ტრაგედიამდე რამდენიმე წუთით ადრე ნახეს იმ კორპუსის მცხოვრებლებმა, საიდანაც გოგონა გადმოვარდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ბავშვი ამავე კორპუსში არ ცხოვრობს.

– ის ბავშვი თავის ფეხით ჩამოვიდა, მეორე, რომ დავიწყე ყვირილი, რომ რა გინდოდათ, კრიშაზე რას აკეთებდით-მეთქი და ამან ამიყვანაო. ამას გამოვყევიო. იმას არ უთქვამს, რომ სურათს ვიღებდითო. ამ ბავშვმა გამომიყოლაო, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

ლიზა ვადაჭკორია მამასთან და დედინაცვალთან ერთად რუსთავში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

გამოძიება სისხლის სამართლის საქმე 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## თემურ აბაზოვი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას ითხოვს

მარნეულის ყოფილმა მერმა თემურ აბაზოვმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე განცხადებით მიმართა.

მარნეულის საკრებულომ აბაზოვის განცხადება გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ცნობად მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელმა ნინო ბერიძემ განუცხადა, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან აბაზოვს აღმკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა, გირაოთი შეუცვალა სასამართლომ, ის მერიისგან 7 თვის განაცდური ხელფასის აღებას ითხოვს, რომელიც ჯამში 32.800 ლარს შეადგენს.



აღნიშნულ განცხადებას საკრებულო მერიას გადაუგზავნის, რის შემდეგაც შესაბამისი სამსახურები მის განხილვას დაიწყებენ. განცხადების განხილვის შემდეგ კი გადაწყდება, აუნაზღაურებს თუ არა მუნიციპალიტეტი აბაზოვს 7 თვის ხელფასს.

რუსთავის სასამართლომ, 7-თვიანი პატიმრობის შემდეგ, აბაზოვი 13 დეკემბერს გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

მარნეულის საკრებულომ თემურ აბაზოვს, მისივე განცხადების საფუძველზე, 12 თებერვალს მერის უფლებამოსილება შეუწყვიტა. რუსთავის სასამართლოში პროცესები ამ დრომდე გრძელდება.

## ვალეში საფრანგეთის მოქალაქეს 74 აბი ნარკოტიკული მედიკამენტები უპოვეს



ვალეში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს.

„9 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში ,,ვალე", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა. საფრანგეთის მოქალაქეს დ.ბ.-ს, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები (74 აბი), ეჭვის საფუძველზე, კუთვნილი ბარგების დათვალიერების შედეგად აღმოაჩნდა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. გამოძიება საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილით" – აღნიშნულია შემოსავლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## გორში ღამით 5 მანქანა გაქურდეს




12 მარტს ღამით გორში 5 მანქანა გაქურდეს.

„ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, ფაქტი სადგურის დასახლებაში, მანქანების სახელოსნოში მოხდა.

ავტომობილებიდან წაღებულია სარკეები, მაგნიტოფონები, საბურავები და მანქანის სხვადასხვა ნაწილები.

სახელოსნოს მეპატრონის ინფორმაციით, ზარალი ათას ლარზე მეტია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და მე-3 ნაწილის დ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

## სარფში, სადახლოსა და წითელ ხიდზე 13.760 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი ალმოაჩინეს



8-12 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო", ,,სარფი" და ,,წითელი ხიდი", არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების დათვალიერების შედეგად, ჯამში 13.760 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით, თითოეულს, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

# აშშ მზადაა, უკრაინის სამხედრო დახმარებისთვის მილიონები გამოყოს



უკრაინამ ჯერჯერობით ვერ დაძლია კორუფცია, მაგრამ ყველას დაუმტკიცა, რომ ბრძოლა შეუძლია და დამოუკიდებლობის დათმობასაც არ აპირებს. ამერიკელებიც აპირებენ, უკრაინული არმიის გაძლიერებას ხელი სერიოზულად მოკიდონ.

2020 წლისთვის ნავარაუდევია უკრაინული არმიის დაფინანსებისთვის 250 მილიონი დოლარის გამოყოფა.

პარალელურად უკრაინა-ნატოს თანამშრომლობაც ფართოვდება. ნატოს რიგი ქვეყნის ინსტრუქტორები უკრაინელ ჯარისკაცებს მოამზადებენ. ეს ქვეყნებია აშშ, ინგლისი, კანადა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკრაინა ნატოს სტანდარტებს უახლოვდება.

– დღეს უკრაინას ბრძოლისუნარიანი არმია უკვე ჰყავს. ის კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ასეც მოხდება! – ამბობს სტოლტენბერგი.

მოსკოვი შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია. ექსპერტების აზრით, რუსეთი უკრაინაში სისხლიან პროვოკაციებს გეგმავს. საამისოდ არჩევნები საუკეთესო საშუალებაა.

– იგეგმება შეტაკებები. არ გამოვრიცხავ ტერაქტებსაც, – მიიჩნევს ექსპერტი ტარას ჩერნოვილი.

# ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტის მეისეულ ვარიანტს მხარი არ დაუჭირა

ბრექსიტის გარშემო აჟიოტაჟი გრძელდება. ბრიტანეთის პარლამენტმაც მხარი არ დაუჭირა პრემიერ ტერეზა მეის შემოთავაზებულ ვარიანტს.



ამრიგად, სიტუაცია კვლავ ჩიხში შევიდა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ინგლისს ბრექსიტის ახალ ვარიანტს არ შესთავაზებენ.

# ევროპარლამენტი რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორად აღარ მიიჩნევს

ევროპარლამენტის სხდომაზე სტრასბურში მთავარი იყო რუსეთთან ურთიერთობა. სათანადო რეზოლუცია ლატვიელმა დეპუტატმა სანდრა კალნიეტემ მოამზადა. რეზოლუციაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ რუსეთმა თამაშის ცივილიზებულ წესებზე უარი თქვა და ჩამოთვლილი იყო რიგი ფაქტი, რომელიც თანამედროვე პოლიტიკისთვის მიუღებელია. ესენია ყირიმის ანექსია, დონბასში ომის გაჩაღება და ა.შ. ნათქვამი იყო ისიც, რომ თავად რუსეთში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა, იზღუდება თავისუფალი მედია და ა.შ.



– ასეთი ქვეყანა არ შეიძლება ევროკავშირის პარტნიორი იყოს, – თქვა კალნიეტემ.

ცალკე ყურადღება დაეთმო გაზპრომის პროექტს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს. რეზოლუციის პროექტში ნათქვამი იყო, რომ ამით ევროპა მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული ხდება. პროექტის განხორციელება არამიზანშეწონილად იყო მიჩნეული.

კანონპროექტს მხარი 402 დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგი იყო 163. თავი შეიკავა 80-მა. რეზოლუცია მიღებულ იქნა.

ამრიგად, ევროკავშირმა სათქმელი ხმამაღლა განაცხადა: ის რუსეთს პარტნიორად აღარ მიიჩნევს.

# რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სუვერენული ინტერნეტის შექმნა დაიწყო

რუსეთში სუვერენული ინტერნეტის შექმნა დაიწყეს. ამის თაობაზე გაზეთი „იზვესტია“ იუწყება.

– ეს საქმე თავდაცვის სამინისტროს აქვს დავალებული, – წერს „იზვესტია“.

გაზეთის ცნობით, სუვერენულ ინტერნეტში მოვლენები იმგვარად იქნება გაშუქებული, როგორც ეს კრემლის ოფიციალურ პროპაგანდას სურს. დღევანდელი ინტერნეტი კი დაიბლოკება.

– ის ინტერნეტი, რომელიც დღეს გვაქვს, ამერიკელების კონტროლქვეშ იმყოფება, – წერს „იზვესტია“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### პელიკანზე თავდამსხმელმა მამაკაცმა სახეში ჩანისკარტება მიიღო

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრები თავს დაესხა პელიცანს და საბოლოოდ თავად გახდა თავდასხმის მსხვერპლი. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ფეისბუქში იქნა გამოქვეყნებული.



კადრებში ჩანს, თუ როგორ იტყუებს თავისთან თევზით პელიკანს ჰანტერ ჰარდესტი, სანამ შემდეგ მას თავს დაესხმება. შემდეგ მამაკაცს ფრინველი ხელში აჰყავს და კამერის წინ თავისი ნადავლის დემონსტრირებას ახდენს. ვიდეორგოლის ბოლო წამებზე კი ფრინველი მამაკაცს ხელიდან უსხლტება, სახეში უნისკარტებს და მიფრინავს.

ფლორიდის შტატის ბუნების დაცვის კომისიამ მომხდარის გამოძიება დაიწყო, რის შემდეგად დაადგენს, თუ რა სასჯელი დაედება კანონის დამრღვევს.

### ამერიკელმა თოვლის კაცის ნაკვალევი გადაიღო



ამერიკელ პენსიონერს თავის მეუღლესთან ერთად უყვარს ლამაზი ადგილების გადაღება. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მათ მოახერხეს უზარმაზარი ნაკვალევის გადაღება. წყვილი დარწმუნებულია, რომ ისინი ადამიანის მსგავს არსებას ეკუთვნის.

მიჩამების წყვილი ამბობს, რომ ნაკვალევის სიგრძე დაახლოებით 60 სანტიმეტრს შეადგენდა, ხოლო მანძილი ნაბიჯებს შორის 80 სანტიმეტრს აღწევდა. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა გამოერკვიათ, თუ საით მიდიოდა ეს ნაკვალევი, მაგრამ ღრმა თოვლის გამო მათ ამის გაკეთება ვერ შეძლეს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი ადამიანისთვის იმ თოვლში სიარული პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამერიკელი პენსიონერი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია ისეთი არსება, გარდა თოვლის კაცისა, რომელსაც თოვლზე ასეთი კვალი დაეტოვებინა. მამაკაცი დარწმუნებულია, რომ მან იეტის არსებობის მტკიცებულებას მიაგნო.

### ცალთვალა ძაღლმა დაობლებული მაიმუნი იშვილა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის სოფელ კანშკიდაში, ცალთვალა ძაღლმა დაობლებულ პატარა მაიმუნზე ზრუნვა საკუთარ თავზე აიღო. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ძაღლის, სახელად რუბის პატრონმა განაცხადა, რომ მისმა ძაღლმა პატარა მაიმუნი ძაღლების ხროვისგან დაახლოებით თვენახევრის წინ იხსნა. მას შემდეგ რუბი, რომელსაც საკუთარი ლეკვები არ ჰყავს, პატარა ცხოველზე, როგორც საკუთარ ნაშიერზე, ისე ზრუნავს. ძაღლი მაიმუნს მუდმივად საკუთარი ზურგით დაატარებს, ძუძუს აჭმევს და აგრესიული ხდება მათ მიმართ, ვინც პატარასთვის შეხებას ცდილობს.

ცხოველების ერთმანეთის მიმართ უჩვეულო დამოკიდებულებამ ადგილობრივების ყურადღება მიიპყრო და მათ სანახავად ხალხი მეზობელი სოფლებიდან მოდის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რონალდუმ ატლეტიკოს მოუგო, სიტიმ შალკე გაანადგურა

**ИУВЕНТУСИ**

<u>**იუვენტუსი-ატლეტიკო 3:0**</u>

**ტურინი. ალიანც სტადიუმი**

1:0, 2:0, 3:0 რონალდო (27, 49, 86პ)

**იუვენტუსი:** შესნი, კიელინი, ბონუჩი, კანსელუ, ჩანი, სპინაცოლა (დიბალა 67), მატიუიდი, პიანიჩი. ბარნერდესკი, მანჯუკიჩი (კინი 80), რონალდო

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხიმენესი, ხუანფრანი, არიასი (ვიტოლო 77), გოდინი, კოკე, ერნანდესი, საული, ლემარი (კორეა 57), მორატა, გრიზმანი

ტურინის იუვენტუსმა იტალიის ჩემპიონატში საქმე ფაქტობრივად მოილია – მასიმილიანო ალეგრის გუნდი 19 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან ნაპოლის და ახლა მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაზე აქვს გადატანილი. გამოცდა კი ტურინელებს სერიოზული ჰქონდათ – მადრიდის ატელეტიკოსთან 2-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა იოლი საქმე არ არის.

„ზოლიანებიც“ ტურინში ისე ჩავიდნენ, რომ გეგმაში საკუთარი სათამაშო სტილი ჰქონდათ – ჩაკეტილიყვნენ და თავიანთ შანსს კონტრშეტევებზე, ანაც სტანდარტული სიტუაციების დროს დალოდებოდნენ. იუვენტუსი ამას ელოდა და დასაწყისშივე მეტოქეს არარეალური პრესინგი შესთავაზა და გოლიც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. ჯორჯო კიელინის გაუქმებულ გოლს გუნდზე ცუდად არ უმოქმედია, მოკლე პაუზა აიღო და 27-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ბერნანდესკიმ და რონალდუმ ფლანგები გაცვალეს, იტალიელმა ჩააწოდა, პორტუგალიელმა კი ხუანფრანს მოუგო დუელი და ობლაკს გაუტანა.

ატლეტიკო მოედანზე კი იყო, მაგრამ არ ჩანდა. გაშვებული გოლის შემდეგაც არ შეუცვლია ტაქტიკა და ამის გამო მე-2 ტაიმის დასაწყისშივე დაისაჯა. ჯალათი კი, ისევ რონალდუ გამოდგა. არადა, მთელ ჯგუფურ ეტაპზე რონალდუმ მხოლოდ ერთი გაიტანა, აი, საჭირო მატჩში კი 2 გოლი 50 წუთში გაახერხა.

თუმცა, რონალდუ ამას არ დასჯერდა და მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გააკეთა ის, რისი გულისთვისაც იყიდა იუვენტუსმა. ტურინული გუნდი მორიგი ფინალისკენ მიიწევს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კრიშტიანუ რონალდუ**

როგორც ჩანს, გაზაფხულზე მარტო ყვავილები არ ყვავის. ამ პერიოდში რონალდუც იფურჩქნება. ის სანადიროდ გამოდის და ნამდვილი მტაცებელი ხდება. საჰაერო დუელების ოსტატები (გოდინი და ხიმენესი) ვერაფერს გახდნენ პორტუგალიელთან. 2 გოლი კრიშტიანუმ სწორედ თავით გაიტანა, რითიც მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, ხოლო ბოლოს 11 მეტრიდან ეს ინტრიგა მთლიანად მოკლა.

**მასიმილიანო ალეგრი:**

– ბიჭები შესანიშნავად გაისარჯნენ. ეს პირველ მატჩშიც დავგეგმეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა. ამაზე ვიფიქრე და კორექტივები შევიტანე. ამ მომენტს ყველა ძალიან ელოდა. ვიცოდით, შეხვედრა ნერვული იქნებოდა და ფეხბურთელებს სიმშვიდის შენარჩუნება დავავალე. სპინაცოლამ მარცხენა ფლანგზე დაცვაში კარგად ითამაშა, ბერნარდესკიც დიდებული იყო. ვიცი, რამდენად კარგი მოთამაშეა და დღეს დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ბრწყინვალედ ასპარეზობა გვმართებდა და ეს შევძელით. ვთქვი, რომ ლემარის მიერ პირველ ტაიმში გამოუყენებელი მომენტი გადამწყვეტი იყო და მისი დამსახურებით ვიმარჯვეთ. ასეთივე შეგრძნება მქონდა მაშინ, როდესაც რეალს გასულ სეზონში მადრიდში ვერ გავუტანეთ გოლი...

ბუფონმა ინსტაგრამით მოგვილოცა? მადლობა ჯიჯი, შენ იუვენტუსის ისტორია დაწერე. ჩვენ ვუყურეთ პსჟ-ს მატჩს და გული დაგვწყდა. შევეცდებით, მადრიდში ჩასატარებელ ფინალზე მოვხვდეთ და თან წაგიყვანოთ.

**დიეგო სიმეონე:**

– მოწინააღმდეგემ უკეთესად ითამაშა და გამარჯვება დაიმსახურა. საკუთარ კარს მიგვაჯაჭვა. როდესაც მეტოქე ასეთ შეხვედრას ჩაატარებს, ისლა დაგრჩენია, მიულოცო. ბევრი შეცდომა დავუშვით. ჩემს თავს ვგულისხმობ და არა ფეხბურთელებს. იუვენტუსი უკეთესი იყო ტაქტიკურად და ბურთისთვის ბრძოლაში.



<u>**მანჩესტერ სიტი-შალკე 7:0**</u>

**მანჩესტერი. ეტიჰადი**

1:0, 2:0 აგუერო (35პ, 38), 3:0 ზანე (42), 4:0 სტერლინგი (56), 5:0 ბ.სილვა (71), 6:0 ფოდენი (78), 7:0 ჟეზუსი (84)

**სიტი:** ედერსონი, დანილო, ლაპორტი (დელფი 72), უოკერი, ზინჩენკო, გიუნდოგანი, დ.სილვა (ფოდენი 64), ბ.სილვა, ზანე, აგუერო (ჟეზუსი 64)

**შალკე:** ფერმანი, სანე, სტამბული, ბრუმა, კონოპლიანკა, ოჩიპკა, სერდარი, ბენტალები, მაკენი (მენდილი 74), ემბოლო (სკრჟიბსკი 69), ბურშტალერი (ტეუჩერტი 79)

შალკეს იმედი ჰქონდა, რომ აიაქსისა და მანჩესტერ იუნაიტედის გმირობას გაიმეორებდა, მაგრამ მანჩესტერ სიტიმ გამოაცხადა, ეყოფა ჩემპიონთა ლიგას სენსაციებიო. გერმანული გუნდი არ იყო ისეთი, რომ სენსაცია მოეხდინა. მეტიც, სრულად იქნა განადგურებული. შალკეს თუ რამეზე პრეტენზია ჰქონდა, საშინაო მატჩი არ უნდა გაენიავებინა უპირატესობა, როდესაც 2:1 იგებდა. თუმცა, ალბათ, ისიც არ იქნებოდა საკმარისი. ეტიჰედზე ისეთი ანგარიში დაფიქსირდა, გერმანიაში მტკივნეული წაგება შალკეს პრობლემად აღარ უნდა ჰქონდეს. მოკლედ, ის აზრი, რომ შალკე ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის შემთხვევითი მგზავრი იყო, გამართლდა...

შესაძლოა, დომენიკო ტედესკოს გუნდს ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა ერჩივნოს, რადგან საქმეები კარგად არც ბუნდესლიგაში მიდის და თუ არ გამოასწორებს თამაშს, დიდი შანსია საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატის ელიტას დაემშვიდობოს.

გერმანელებს ისევ გაუტანა შალკეს აღზრდილმა ლეროი ზანემ, დუბლი გაახერხა აგუერომ, თავისი გოლი გაიტანა სტერლინგმა, იყოჩაღეს შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა – გაბრიელ ჟეზუსმა და ფოდენმა.

18 წლისა და 288 დღის ფოდენი სიტის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, ვისაც ამ ტურნირში გოლი გაუტანია. ასევე ფოდენი ყველაზე ახალგაზრდაა ინგლისელებიდან, ვისაც ლიგის ფლეი ოფში თავი გამოუჩენია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ლეროი ზანე**

სიტიდან ბევრის გამოყოფა შეიძლება, მაგრამ ზანე გამოვარჩიეთ. შალკეს აღზრდილმა ახალი გუნდის მაისურით შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. გოლიც გაიტანა და თითქმის ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

**პეპ გვარდიოლა:**

– სიტი 4 ტურნირში გამარჯვების პრეტენდენტია? დიდი მადლობა ასეთი ნდობისთვის. მე ორჯერ მოვიგე ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ შვიდჯერ წავაგე. მადრიდის რეალი არ ვარ. ახლა მადრიდელები გავარდნენ, მაგრამ შეხედეთ იუვენტუსს. კრიშტუანუ რონალდუ იქ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მივიდა. გასულ წლებში ტურინელებმა ორჯერ წააგეს ფინალი და ახლა პორტუგალიელი იყიდეს, რათა ბოლო-ბოლო გაიმარჯვონ. მთავარი წნეხი რონალდუს მხრებზეა და მას 3 გოლი გააქვს ატლეტიკოს კარში. აი, ასეთ გუნდებთან გვიწევს კონკურენცია.

**დომენიკო ტედესკო:**

– რა უნდა ვთქვა. ანგარიში ყველაფერს ამბობს. არ ველოდი ასეთ სუსტ თამაშს, მაგრამ ეს უფრო მეტოქის დამსახურებაა. სიტი ლიგის მოგების პრეტენდენტია.

## ევროპული რაგბი მსოფლიო რაგბის უტევს

პარიზში გაიმართა რაგბი ევროპის დირექტორთა საბჭოს სხდომა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რაგბის კავშირის თხოვნით, დღის წესრიგს დაემატა მსოფლიო რაგბის ლიგის დაფუძნების გარშემო სიტუაციის განხილვა.

ქართული მხარის პოზიციის გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვა საბჭოს პრაქტიკულად ყველა წევრმა. აღინიშნა, რომ მსგავსი მიდგომები და გაუაზრებელი გადაწყვეტილებები უდიდეს ზიანს მიაყენებს რაგბის განვითარებას ევროპასა და მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, პროექტთან დაკავშირებული პროცესი არის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და მასში მონაწილეობა არის ხელოვნურად ლიმიტირებული.

6 ერის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებიც კი დაეთანხმნენ ამ პოზიციას და ერთხმად გადაწყდა, რომ მსგავსი მიდგომები კატეგორიულად მიუღებელია. ასევე ცალსახაა, რომ პროცესში რაგბი ევროპის ჩართულობა აუცილებელია და ეს პოზიცია ოფიციალურად უნდა ეცნობოს მსოფლიო რაგბს.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, რაგბი ევროპის პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმ გაუგზავნა შესაბამისი წერილი მსოფლიო რაგბის პრეზიდენტ ბილ ბომონდს:

– რაგბი ევროპის საბჭოს წევრები შევიკრიბეთ. განხილული საკითხებიდან მთავარი, რომელსაც ყველაზე მეტი ყურადღება დაეთმო, იყო მსოფლიო რაგბის ლიგის პროექტი. შეხვედრის მონაწილეებმა, რომლებიც 15 ევროპული ქვეყნის რაგბის კავშირს წარმოადგენდნენ, დიდი შეშფოთება გამოთქვეს აღნიშნული პროექტის მიმართ, რომლის შესახებაც არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა, ვიდრე ელექტრონული წერილი არ მივიღე ბრედ გოსფერისგან.

ჩვენ, როგორც ევროპაში რაგბის მმართველი ორგანიზაცია, სრულად ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ეს შეჯიბრი, რომლის პროექტიც ჩვენი მონაწილეობის გარეშე შეიქმნა, საფრთხეს უქმნის ევროპაში რაგბის განვითარებას.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაგვარკვიოთ პროექტის დეტალებში და ჩაგვრთოთ განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფაქტი იმისა, რომ აქამდე ჩვენ ამ პროცესის ნაწილი არ ვყოფილვართ, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. დიდად დავალებულნი ვიქნებით, თუ თქვენ ამ მოთხოვნას გაითვალისწინებთ და მოუთმენლად ველით თქვენს რეაგირებას.

მსოფლიო რაგბის კავშირის მიერ შექმნილი მსოფლიო ლიგის პროექტს აკრიტიკებენ ინგლისის ელიტური დივიზიონისა და ფრანგული ტოპ 14-ის ხელმძღვანელებიც.

მათ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და აღნიშნეს, რომ ახალი ტურნირი 2017 წელს სან ფრანცისკოში მიღწეულ სტრატეგიულ შეთანხმებას ეწინააღმდეგება. მაშინ მსოფლიო რაგბისთან ერთად ამ ორი ლიგის კალენდარი 2032 წლამდე დაიგეგმა, ახალი შეჯიბრი კი არღვევს შეთანხმებას და მათ პრობლემას უქმნის.

სან ფრანცისკოში ყველა დაინტერესებული მხარის მიერ მიღწეული შეთანხმება წარმოადგენდა ბალანსირებულ სტრუქტურას, ითვალისწინებდა 2032 წლამდე შედგენილ კალენდარში ყველას ინტერესებს. ცხადია, ახალი გეგმა გაზრდის საერთაშორისო მატჩების რაოდენობას, საჭირო გახდება დეკემბრის წინ 4 ან 5 ტესტ-კვირის გამოყოფა, რაც წინააღმდეგობაში მოდის შეთანხმებასთან და ცვლის არსებულ კალენდარს.

პროფესიული ლიგები ჯერ არ მიიწვიეს მსოფლიო რაგბის ახალი პროექტის შემუშავებაზე და ეს მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს.

## ქართველი მორაგბეები რუსების ძლევას აანონსებენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩისთვის „შევარდენზე“ ემზადებიან და რუსეთში გამგზავრებამდე ჟურნალისტებისა და ქომაგებისთვის ღია ვარჯიში გამართეს.

მილთონ ჰეიგის შეგირდებმა გერმანიის 52:3 ძლევით ტიტული მე-11-ედ მოიპოვეს. ჩვენი გუნდი 17 მარტს სტუმრად კრასნოდარში, საქართველოს დროით 16 საათზე ტრადიციულ მეტოქეს, რუსეთის ნაკრებს ეთამაშება და მისი ძლევით მერვე სლემის (ყველა თამაშის მოგება) შესრულებას ეცდება.

წვრთნა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა, ხაზი და შერკინება ცალცალკე გახურდა, მერე კი მორაგბეები 2 გუნდად გაიყვნენ და სხვადასხვა სტატიკური ფაზებიდან შეტევასა და დაცვაში ივარჯიშეს.

მწვრთნელები და მოთამაშეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტიტულის ნაადრევად დაუფლების მიუხედავად, კარგად ესმით მომავალი მატჩის მნიშვნელობა და კრასნოდარში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

**მილთონ ჰეიგი:**

– ძალიან კარგი ვარჯიში გვქონდა. ერთი დღე ბიჭებს დავასვენებთ და კრასნოდარში გაფრენამდე კიდევ ერთი ვარჯიში გვექნება. რამდენიმე მორაგბეს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ სერიოზული არაფერია, თუმცა პარასკევს მათ მდგომარეობას კიდევ ერთხელ გადავხედავთ და შემადგენლობასაც ამის შემდეგ დავასახელებთ. ქართველებისთვის რაგბი ევროპის ჩემპიონატში რუსეთთან თამაში ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს მხოლოდ სპორტული დაპირისპირება არაა და ვფიქრობთ, გულშემატკივარს კვირას კარგ წარმოდგენას ვაჩვენებთ. რუსეთის ნაკრები უწინდელთან შედარებით უფრო სწრაფი და ათლეტური გუნდია. მათ ყველა კომპონენტში ეტყობათ გაუმჯობესება და ბურთსაც სწრაფად ათამაშებენ. ახლა რუსეთის ნაკრებს უფრო ბევრი იარაღი აქვს, თუმცა ჩვენ მზად ვართ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**ზურაბ ჟვანია:**

– მართალია რაგბი ევროპის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე ჩემპიონობა გავინაღდეთ, მაგრამ რუსეთთან თამაში, მათი სტუმრად დამარცხება, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. მე მჯერა ჩემი ნაკრების, ჩვენი ბიჭების და საქართველოში აუცილებლად გახარებულები დავბრუნდებით. ჩვენ ამ გამარჯვებას ქართველ ხალხს მივუძღვნით.

**ლაშა ხმალაძე:**

– მეტოქეს ნამდვილად მომატებული აქვს. რუსული კლუბები, მათი ნაკრების წევრები, რეგულარულად თამაშობენ ჩელენჯ ქაფზე და ეს მათ გაზრდაში დაეხმარა. ფიზიკურად და ტექნიკურად ახლა ისინი უკეთ გამოიყურებიან, თუმცა ჩვენც გავიზარდეთ, ახალგაზრდული ნაკრებებიდან ძალიან კარგი, ტექნიკური და სხარტი ბიჭები ამოდიან. როგორც ყოველთვის, ეს თამაში ახლაც მნიშვნელოვანია. არა აქვს მნიშვნელობა, ჩემპიონები გავხდით თუ არა, რუსეთთან მატჩი ყოველთვის პრინციპული იქნება და ასეა ახლაც. მეტოქეს რის საშუალებასაც მისცემ, იმას მოიმოქმედებს. ვეცდებით, რომ რუსებს პირველივე წუთებიდან გავუქროთ მოგებაზე ფიქრის საშუალება.



## ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

ხვალ რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გრანდ სლემი იწყება, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას.

წინასწარი მონაცემებით, შეჯიბრში 48 ქვეყნის წარმომადგენელი 403 ძიუდოისტი (233 კაცი, 170 ქალი) ჩაებმება, საქართველოს კი 13 ვაჟი ძიუდოისტი ეყოლება.



ქართულ განაცხადში ეროვნული ნაკრების რამდენიმე ლიდერი არ ფიგურირებს, თუმცა, არც სუსტი შემადგენლობით მიემგზავრებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტატამზე ბექა ღვინიაშვილის (90 კგ.) დაბრუნება, რომელსაც გარკვეული პაუზა ჰქონდა აღებული.

15 მარტს, ვაჟთა ტურნირში მედლები 60 და 66 კგ-მდე წონით კატეგორიებში გათამაშდება, 16-ში – 73-სა და 81-ში, ხოლო 17 მარტს – 90, 100 და +100 კგ-ში.

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების განაცხადი ეკატერინბურგის გრანდ სლემზე ასეთია:**

ლუხუმ ჩხვიმიანი, თემურ ნოზაძე (60კგ), ბაგრატ ნინიაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი, ვალერი იაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი, ლუკა მაისურაძე (81), ბექა ღვინიაშვილი, უშანგი მარგიანი (90), ონისე სანებლიძე, გიორგი ბერიაშვილი (100), გელა ზაალიშვილი (+100);

## შედეგები

**12 მარტი**

<u>**ფეხბურთი**</u>

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

იუვენტუსი-ატლეტიკო ................. 3:0
სიტი-შალკე .................................. 7:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

დიჟონი-პსჟ .................................. 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 24 | 2 | 1 | 83-15 | 74 |
| 2.ლილი | 28 | 17 | 6 | 5 | 45-23 | 57 |
| 3.ლიონი | 28 | 14 | 8 | 6 | 47-33 | 50 |
| 4.მარსელი | 28 | 14 | 5 | 9 | 44-35 | 47 |
| 5.სტ.ეტიენი | 28 | 12 | 7 | 9 | 36-34 | 43 |
| 6.რეიმსი | 28 | 10 | 13 | 5 | 30-27 | 43 |
| 7.რენი | 27 | 11 | 7 | 9 | 38-35 | 40 |
| 8.ნიცა | 28 | 11 | 7 | 10 | 20-28 | 40 |
| 9.მონპელიე | 27 | 9 | 12 | 6 | 36-30 | 39 |
| 10.სტრასბური | 28 | 9 | 11 | 8 | 43-33 | 38 |
| 11.ნიმი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| 12.ანჟე | 28 | 8 | 11 | 9 | 33-33 | 35 |
| 13.ბორდო | 27 | 8 | 9 | 10 | 26-28 | 33 |
| 14.ნანტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 15.ტულუზა | 28 | 7 | 10 | 11 | 27-42 | 31 |
| 16.ამიენი | 28 | 8 | 4 | 16 | 24-43 | 28 |
| 17.მონაკო | 28 | 6 | 9 | 13 | 29-44 | 27 |
| 18.დიჟონი | 28 | 5 | 6 | 17 | 21-45 | 21 |
| 19.კაენი | 28 | 3 | 11 | 14 | 23-39 | 20 |
| 20.გენგამი | 28 | 4 | 7 | 17 | 18-51 | 19 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## მოწყენილმა მცხობელმა მყიდველებს გული აუჩუყა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მამაკაცმა ახალი საფუნთუშე გახსნა, მაგრამ მის სავაჭრო ობიექტში მყიდველები არ შედიოდნენ. ამის შემდეგ მისმა შვილმა ტვიტერში გამოაქვეყნა თავისი მოწყენილი მამის ფოტოსურათი და ამან სოციალური ქსელის მომხმარებლებს გული აუჩუყა და მასობრივად მიაწყდნენ მის საცხობს.



საფუნთუშე სახელწოდებით ბილი დონათსი 9 მარტს გაიხსნა, თუმცა მასში მყიდველები არ შედიოდნენ. ამით გულდაწყვეტილმა სოციალური ქსელის მომხმარებელმა სახელით ბილი ბუმ მამის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელიც ფაქტიურად ხალხისგან ცარიელ საცხობში იქნა გადაღებული.

მისმა ფოტომ სწრაფად მოაგროვა 300 ათასი მოწონება, ხოლო კომენტარებში მომხმარებლები წერდნენ, რომ აუცილებლად შევიდოდნენ საფუნთუშეში. მალე სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ფოტოსურათები, რომელშიც ხალხით სავსე საცხობია აღბეჭდილი. მომხმარებლების უმეტესობამ მათ მიერ შეძენილი პროდუქტები შეაქო და ძალიან გემრიელი უწოდა.

მეორე დღეს კონდიტერის შვილმა საფუნთუშეს მისამართიც გამოაქვეყნა და მყიდველთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. დღის ბოლოს კი მან ინსტაგრამში მომღიმარი მამის ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

– ყველას უდიდესი მადლობა. დღეს ყველაფერი გაიყიდა. ჩვენ ვაფასებთ თქვენს სიყვარულსა და მხარდაჭერას. მამაჩემი მოწყენილი აღარაა, – ეწერა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

## მეგან მარკლმა მეუღლის საჩუქარს იგნორირება გაუკეთა

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი ერთა თანამეგობრობის დღეს მეუღლის, პრინც ჰარის მიერ ნიშნობაზე ნაჩუქარი ბეჭდის გარეშე გამოჩნდა.



საუბარია სამი ბრილიანტის თვლით დამშვენებულ ყვითელ ოქროს ბეჭედზე, რომელთაგან ერთ-ერთი ბრილიანტი ბოტსვანიდან იყო ჩამოტანილი, ხოლო დანარჩენი ორი სასექსის ჰერცოგის დედას, დიანას ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ ბეჭდის დიზაინერი თავად პრინცი ჰარია.

თაყვანისმცემლებმა შენიშნეს, რომ იმ დღეს, 11 მარტს, მეგანს ხელზე სამკაულებიდან მხოლოდ საქორწინო ბეჭედი, კიდევ ერთი თხელი ბეჭედი ცერა თითზე, ხოლო ხელზე სამაჯური ეკეთა.

სპეციალისტები თვლიან, რომ 37 წლის ჰერცოგინიამ ნიშნობის ბეჭდის თითზე გაკეთება იმის გამო ვერ შეძლო, რომ ფეხმძიმობის გამო თითები დაუსივდა.

## კიმ კარდაშიანმა გერმანული ბრენდის სარეკლამო გადაღებაში მიიღო მონაწილეობა

რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილემ კიმ კარდაშიან-უესტმა ბერლინური ბრენდის Carolina Lemke-ს სარეკლამო კამპანიის გადაღებებში მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ფოტოსურათები მან ინსტაგრამში საკუთარ გვედრზე გამოაქვეყნა.



სამი სურათისგან შემდგარი სერიის „კლონირებულ“ ფოტოშოპში 38 წლის ტელევარსკვლავი ღიაფრად შეღებილი ტუჩებით, საცვლებით ან შემოტმასნილი შავი კოსტიუმით პოზირებს. კიმ კარდაშიანი წარმოადგენდა 1990-იანი წლების დასასრულისა და 2000-იანი წლების დასაწყისის პოპულარულ ფუტურისტული სტილის სათვალეებს, რომლებიც მოდაში 2018 წელს დაბრუნდა.

ფოტოსესიის ავტორები ცნობილი ფოტო-დუეტი მერტ ალასი და მარკუს პიგოტი არიან.

## გოგონამ დაზღვევის მისაღებად ხელი მოიხერხა

სლოვენიის მკვიდრმა გოგონამ იმისთვის, რომ დაზღვევის თანხა, დაახლოებით 400 ათასი ევრო მიეღო, ხელი განზრახ მოიხერხა.

ინციდენტი ქალაქ ლიუბლიანაში მოხდა. ნათესავებმა გოგონას ხელის მტევანი მოახერხეს, რის შემდეგაც სამედიცინო დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართეს. იქ ისინი ექიმებს არწმუნებდნენ, რომ 21 წლის გოგონამ შემთხვევით დაიზიანა ხელი, როდესაც ხის ტოტებს ჭრიდა.

სამართალდამცავი ორგანოების ვერსიით, ნათესავებმა მიზანმიმართულად დატოვეს მოჭრილი ხელის ნაწილი სახლში, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ სამუდამო ინვალიდობისთვის უფრო მეტ კომპენსაციას მიიღებდნენ. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოჭრილი ხელის მტევანი დროულად მიიტანეს საავადმყოფოში, რისი წყალობითაც ექიმებმა მისი მიკერება და ხელის აღდგენა შეძლეს.

საგამოძიებო ორგანოებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს. ეჭვმიტანილებს რვა წლამდე პატიმრობა ელით.



## ბიჭმა გოგოს სახალხოდ ხელი სთხოვა და თავი ციხეში ამოჰყო



ირანის მკვიდრმა მამაკაცმა შეყვარებულს ხელი სავაჭრო ცენტრში სთხოვა, რითაც სამართალდამცავები გააბრაზა.

ინციდენტი ირანის ქალაქ ერაკში მოხდა. თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებზე, წყვილი გულის ფორმის წითელი ვარდების ფურცლების გარემოცვაში დგას. მამაკაცი შეყვარებულს ცოლობას სავაჭრო ცენტრში მყოფი მრავალრიცხოვანი მყიდველების თვალწინ სთხოვს და თითზე ბეჭედს უკეთებს, რის შემდეგაც ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონა გარშემომყოფთა მილოცვის შეძახილების ფონზე მამაკაცს გადაეხვევა.

შეყვარებულების გრძნობების ასეთმა ღია დემონსტრირებამ სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება მიიპყრო. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება ისლამის წესებს და დასავლური აღვირახსნილობის კულტურის პროპაგანდას ემსახურება. წყვილი დააპატიმრეს, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

## ინსულტის შემდეგ გონს მოსული ქალი რუსული აქცენტით ალაპარაკდა

ინგლისის ქალაქ ლივერპულის მკვიდრი ქალბატონი ინსულტის გადატანის შემდეგ ინგლისურად რუსული აქცენტით ალაპარაკდა. აღსანიშნავია, რომ ექიმები საერთოდ არ მოელოდნენ, რომ ის ისევ ალაპარაკდებოდა.

2014 წელს 69 წლის როუზ გრიფიტსი სამსახურში მოულოდნელად ცუდად გახდა. ქალი სხეულის მარჯვენა მხარეს საერთოდ ველარ გრძნობდა და ლაპარაკის, კითხვის და წერის შესაძლებლობა დაკარგა.

ბრიტანელი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ექიმებმა მას განუმარტეს, რომ ის დიდი ალბათობით სრულფასოვნად ცხოვრებას ველარ შეძლებდა. ამის მიუხედავად გრიფიტსი თავდაუზოგავად ვარჯიშობდა და გარკვეული დროის შემდეგ მარცხენა ხელით წერა ისწავლა. მოგვიანებით მან ისევ დაიწყო ლაპარაკი, თუმცა ლივერპულში დაბადებული და გაზრდილი ქალი ლაპარაკში აშკარად რუსული აქცენტით ამეტყველდა. ექიმებმა ეს უცხოური აქცენტის სინდრომით ახსნეს.



დროთა განმავლობაში გრიფიტი უკვე აღმოსავლეთ ევროპული აქცენტით მეტყველებდა, შემდეგ კი გერმანულით.

– ხალხთან საუბარი მიყვარს, მაგრამ ინსულტის შემდეგ ხალხს ჩემთან ურთიერთობა აღარ სურდათ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ მე მათი არ მესმოდა. თავს მარტოსულად ვგრძნობდი, – განაცხადა გრიფიტსმა.

ასეთი დეფიციტის აღმოსაფხვრელად ქალი იმ ადამიანების ასოციაციას შეუერთდა, რომლებსაც ინსულტი ჰქონდათ გადატანილი. ინსულტიდან ხუთი წლის შემდეგ ქალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას ადრინდელი აქცენტი არ დაუბრუნდებოდა, თუმცა ამის გამო აღარ ნერვიულობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 14 მარტისთვის



**ვერძი** – გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონ-დაწონეთ. **კურო** – მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** – თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 2. საკათედრო ტაძარი თბილისში; 3. ტბა აფხაზეთში; 5. ციმბირის წყლულის ქართული სახელწოდება; 6. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 7. პიროტექნიკური ტკაცუნა; 10. პატარა მწერი, მუმლი; 11. ფიგურული სახაზავი; 13. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 14. ავტოდრომი იტალიაში; 15. გერმანელი მხატვარი, ფერწერული ტილო „მაჭანკალის“ ავტორი; 16. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 17. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 20. კამეჩის ნაშიერი.

**თარაზულად:** 1. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 4. სარბენ ბილიკზე დადგმული სპეციალური წინაღობა მძლეოსნობაში; 8. მდინარის თევზი; 9. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 12. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 14. ნარნარად ფრენა; 15. ოფიცრის ჩინი; 16. მთავარი მოედანი მილანში; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის რაიონში; 21. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 22. რაიმე ზემოქმედების საპასუხო ქმედება; 23. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ორლი; 2. ნუჟრი; 3. იანძი; 4. ჯილდა; 5. ვეზუვი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. შტირია; 15. ბეტისი; 16. ოჰარა.

**თარაზულად**: 1. ოწინარი; 4. ჯავახეთი; 7. ლიეჟი; 9. რიეკა; 12. გიურზა; 13. გნომა; 14. შარაძე; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. ბენთოსი; 20. ჰაშიში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მუმბაი; 2. ჩხუტი; 3. ძოწი; 5. ლეგატი; 6. სეული; 7. ლორნეტი; 11. სქოლიო; 13. არაბული; 14. ბამბა; 15. კარცერი; 16. რეტორტა; 17. ნილოსი; 19. არენა; 20. ფიფა.

**თარაზულად**: 1. მაჩაიძე; 4. ტაბლა; 8. წნორი; 9. გურუ; 10. ბოტასი; 12. კნესეტი; 14. ბალი; 15. კინეტიკა; 16. რემბო; 18. ციცქა; 21. ლაციო; 22. ტელფერი; 23. ნესკაფე.

## დემნა გვასალიას ჰუდი ბრიტანულმა მაღაზიამ გაყიდვიდან ამოიღო




ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას ჰუდი წარწერით „იდი ნა ხუი“ ერთ-ერთმა ბრიტანულმა მაღაზიამ გაყიდვიდან ამოიღო.

რუსულენოვანი წარწერით გამოშვებული ჰუდები დემნა გვასალიას ვეტემენტსის კოლექციიდანაა, რომელიც დიზაინერმა ქართულ თემატიკას მიუძღვნა.

ჰუდი 680 ფუნტ სტერლინგად იყიდებოდა, რაც დაახლოებით 2.363 ლარია. სოციალურ ქსელში რუსმა ჟურნალისტმა მაქს სედონმა დაწერა, რომ ბრიტანული მაღაზია, რომელიც ყიდის ჰუდებს „ქართული ასოებით“, უკომპრომისო დამოკიდებულებას გულისხმობს. სინამდვილეში აქ რუსულად წერია „გოუ ფაქ იოურსელფ“.

როგორც ჩანს, მაღაზიაში მანამდე ეგონათ, რომ ჰუდზე ქართული ასოები ეწერა, რაც იმით აიხსნება, რომ ეს სამოსი დემნას მიერ შექმნილი ქართული კოლექციიდანაა.

რუსი ჟურნალისტის განმარტების შემდეგ ბრიტანულ მაღაზიას მომხმარებლებმა სოციალურ ქსელში საჩივრების წერა დაუწყეს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს მაღაზიის მესვეურებმა, ჰუდი გაყიდვიდან ამოეღოთ.

დემნა გვასალიას ეს ჰუდი გამოჩენის დღიდან კრიტიკის ქარცეცხლშია. მისი წარწერით სულ პირველად რუსები გაღიზიანდნენ და ქართველ დიზაინერზე გაბრაზება ინტერნეტშიც საჯაროდ გამოხატეს.

## ნიკა რამიშვილი რუსი ტურისტებისთვის ახალი ინიციატივით გამოდის

მსახიობი ნიკა რამიშვილი, იგივე დრუპი რუსი ტურისტებისთვის ახალი ინიციატივით გამოდის და იურისტებისგან დამატებით განმარტებებს ითხოვს:



– ყურადღებით მომისმინეთ იურისტმა და, მით უმეტეს, პარლამენტარმა იურისტებმა! რა თქმა უნდა, ოპოზიციიდან ქოცებთან ლაპარაკს აზრი არა აქვს და არც მყავს ფრენდებში!

კანონში ხო გვიწერია, ვინც საოკუპაციო ხაზს დაარღვევს, ან ის უცხოელი, ვინც ნამყოფია ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ქვეყანაში არ დაიშვებაო? – ჰოოდა ძალიან კარგი! ვაკეთებთ პეტიციას, ვაწერთ ხელს რამდენიც საჭირო და აუცილებელია, იმდენნი და ვითხოვთ შემდეგს, ის რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც შემოდიან საქართველოში ან როგორც ტურისტი, ან როგორც ბიზნესმენი, ან ხუი იზ მამუ ზნაეტ, რაზე, ვალდებულები იყვნენ ხელმოწერით დაადასტურონ, რომ აღიარებენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს შემადგენლობაში და აღიარებენ, რომ მათი ქვეყანა ოკუპანტია!... თუ არა და ნახუი ქვეყნიდან! – ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი... და არ მითხრათ ტურიზმს დაენძრევაო... ოკუპანტის შემოტანილ 200-300 დოლარის იმედზე თუ ვართ, მაშინ აღარ ვარსებობთ, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო! გავაკეთოთ რა! სხვანაირად არ ვიცი, რა ვქნათ.

## ეკა კვალიაშვილი: „პროფესიონალებმა არ უნდა დაუთმონ სცენა მათ, ვინც სიმღერა არ იცის“

მომღერალი ეკა კვალიაშვილი იმ მომღერლების წინააღმდეგ გამოდის, რომლებმაც სიმღერა არ იციან, მაგრამ სცენაზე დგომის დიდი სურვილი აქვთ:



– საქმე ისაა, რომ პროფესიონალებმა არ უნდა დაუთმონ სცენა მათ, ვინც სიმღერა არ იცის.

ეს ალბათ ყველა იმ სფეროს ეხება, სადაც პროფესიონალიზმია საჭირო, რადგან ყველა პროფმა, თავის საქმე უნდა აკეთოს. ეს ჩემი აზრია.

## სტეფანე მღებრიშვილი ასაკოვანმა გულშემატკივრებმა გააოცეს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი წლებია სცენაზე დგას და მის ერთგულ გულშემატკივართა შორის ყველა თაობის მსმენელია.

თუმცა ასაკოვანმა მსმენელებმა მისი გაკვირვება ნამდვილად შეძლეს:

– არ ვიტყუები, უკვე მეორე შემთხვევაა: ასაკოვანმა ქალბატონმა მითხრა „ბავშვობიდან გისმენო“... მე მეორედ შემეპარა ეჭვი და ჩავეკითხე, იქნებ მე რომ ვიყავი ბავშვი, მაშინაც ვმღეროდი და... არა, მე რომ ვიყავი ბავშვიო.



## მარიამ ხაჭვანი: „ეპიდემიის საშიშროების წინაშე დგას სვანეთი!“



რეჟისორი მარიამ ხაჭვანი სვანეთში ცხოვრობს და იქაურობაზე განსაკუთრებით შესტკივა გული.

ამჯერად რეჟისორის გულისტკივილი მდინარეში ნაგვის ჩაყრამ გამოიწვია:

– უშგულთან დაკავშირებულ პრობლემებზე ხშირად ვწერ ხოლმე და ასეთ ტურისტულ ადგილას, როგორიც უშგულია, „ნაგავი“ მდინარეში არ უნდა იყრებოდეს.

ტურისტული ნაკადის მატებასთან ერთად, თავისთავად ნაგავმაც იმატა. კარგი იქნება თუ რომელიმე კომპანია დაინტერესდება ამ საკითხით. ადგილობრივები სიამოვნებით გადავიხდით ნაგვის ფულს, თუ ეს პრობლემა მოიხსნება. მე ვისთანაც ვისაუბრე ამ საკითხზე, დამეთანხმნენ.

სოფლის ცენტრში რამდენიმე ნაგვის ურნა დგას, რომელიც ხან ერთ დღეში, ხან კი ერთ საათში ივსება და, სამწუხაროდ, კვირაში ერთხელ იცლება.

ეპიდემიის საშიშროების წინაშე დგას სვანეთი!

სხვა სოფლებში რა ხდება მაინტერესებს, ან მესტიაში?

იქაც ენგურს მიაქვს ნაგავი?!

## ქეთევან კიკნაძე დაგროვებითი პენსიის წინააღმდეგია



მსახიობი ქეთევან კიკნაძე დაგროვებითი პენსიის წინააღმდეგია და ამ რეფორმას არანაირად არ მიესალმება:

– დაგროვებითი პენსიებიო...

რატომ განკარგავთ ჩემს თავს? ასეთ კითხვას გისვამთ, თუ მინდა დავზოგო და დავაგროვო, ჩემი ხელფასიდან თანხა, არსებობს ამისათვის ბანკი. ან იქნებ მასწავლოთ, საით არის ბანკი. არსებობს ხალხი ისეთი ხელფასით, რომლისთვისაც ის 20 ლარი დიდი თანხაა. მეგობარი მირეკავს და მეუბნება, ტელევიზორი გავთიშე, გათბობას ვთიშავ, როცა გავდივარ გარეთ. დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ დედალსო. ალბათ გაგიგონიათ.

ვინ გეკითხებათ ბოლოს და ბოლოს, რომ ჩემი თანხა თქვენ განკარგოთ. კიდევ გეკითხებით, ბანკი რისთვის არსებობს? სირცხვილია. ყველა გრძნობს ხელისუფლების დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ. რა ჰქვია ამას, კარგად ვიცით. ჰკითხეთ ხალხს, მისაღებია თუ არა ასეთი რეფორმა, თუ რეფორმა ჰქვია ამას. ერთი ადამიანის გამომგონებლური აფიორა წყვეტს მილიონი ადამიანის ბედს. კარგია. პირველი თქვენგან ხდება ადამიანის უფლებების დარღვევა. იქ საშემოსავლო, იქ ტეხდათვალიერება, იქ დაზღვევა, დააყენეთ „სასუნთქი მრიცხველები“.

## ჯაბა ბოჯგუა 40 წლის გახდა



მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 40 წლის გახდა და აქედან 10 წელი კომაშია.

მომღერალს დაბადების დღე დედამ მიულოცა, რომელიც ზუსტად 10 წელია შვილის გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავს:

– ისევ გათენდა 13 მარტი, ცოტა ნაცრისფერი, მაგრამ მაინც 13 მარტი. დღეს ჯაბას დაბადების დღეა. 40 წლის გახდა.

ყველაზე მეტად თავის დაბადების დღეს ზეიმობდა ხოლმე... იმედია, ეს ზეიმი კვლავაც გაგრძელდება... მე იმედს არ ვკარგავ.

გილოცავ დედი! შენით ვარსებობ და შენით ვსუნთქავ. შენ ხომ ჩემი გულის ძგერის ერთადერთი მიზეზი ხარ. ჩემს წილ სიცოცხლესაც გაჩუქებ დედი, ოღონდ შენ მყავდე კარგად.

ჯანმრთელობა მოგმადლოს შვილო მამაზეციერმა! მიყვარხარ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცი მეგობარს ვირთხიანი კერძით გაუმასპინძლდა

ტაივანელი უ ინ-მინი მეგობარს რესტორანში ბულიონით გაუმასპინძლდა, რომელშიც ვირთხა აღმოჩნდა.

ინციდენტი ქალაქ სინჩჟუში მოხდა. ინ-მინმა მეგობრისთვის ხოგო – ბულიონი ქვაბით, რომელიც პირდაპირ მაგიდაზე იხარშება და რომელსაც შეიძლება ჩაემატოს ლაფშა, ხორცი, ტოფუ და ბოსტნეული, შეუკვეთა. სიმინდის, კომბოსტოს და ცხვრის ხორცის ნაჭრების გარდა, მათ წვნიანში მოხარშული ვირთხაც აღმოაჩინეს.



– მეგობრისთვის წვნიანი შევუკვეთე და უცბად მასში მკვდარ ვირთხას ვხედავ. რა იყო ეს, აქციაა, „შეიძინე და მიიღე საჩუქარი?“ – საკუთარი აღშფოთება ვერ დამალა ინ-მინმა, რომელმაც ვირთხიანი წვნიანის ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა.

ინ-მინის თქმით, ოფიციანტებმა მათ ბოდიში მოუხადეს და ორი ახალი ულუფა მოუტანეს.

### ქურდს ღარიბი გოგონა შეეცოდა და ნაძარცვი დაუბრუნა

ჩინეთში ქურდმა გოგონას წართმეული ფული მას შემდეგ დაუბრუნა, როდესაც ნახა, რომ მას ბარათზე ფული საერთოდ აღარ ჰქონდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.



გუანდუნის პროვინციის ქალაქ ხეიუნანში გადაღებულ ვიდეოზე გოგონა გვარად ლი ბანკომატიდან ფულს ხსნის. მას უკნიდან დანამომარჯვებული მამაკაცი უახლოვდება და ფულს სთხოვს. გოგონამ მას 2,5 ათასი იუანი გადასცა.

მძარცველი მას აიძულებს, უფრო მეტი ფული მოხსნას ბარათიდან. ლი მას აჩვენებს, რომ მას ბარათზე ფული საერთოდ აღარ დარჩა. მაშინ მძარცველმა მას მთელი წართმეული ფული დაუბრუნა, გაუღიმა და წავიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ კეთილშობილურმა საქციელმა მძარცველს ვერ უშველა. მალე ის პოლიციამ დააპატიმრა.

### ქალმა ერთ დღეში ლატარიაში 30-ჯერ მოიგო

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდის მკვიდრმა ერთ დღეში 30 ლატარიის ბილეთი იყიდა და ყველა მომგებიანი აღმოჩნდა.




დებორა ბრაუნის თქმით, ბილეთების ყიდვის დღეს ყველგან ხვდებოდა რიცხვების შეფარდება 1-0-3-1. ქალი საკუთარ ინტუიციას ენდო და 20 ცალი პიკ 4-ს ლატარიის ბილეთი შეიძინა და მათში ზემოთ აღნიშნული რიცხვები ჩაწერა. შემდეგ სხვა მაღაზიაში კიდევ 10 ბილეთი შეიძინა.

თითოეული ბილეთის ფასი ერთი დოლარი იყო, ხოლო ყველაზე მსხვილი მოგება ხუთი ათას დოლლარს შეადგენდა. ამგვარად ბრაუნმა 30 დოლარად საერთო ჯამში 150 ათასი დოლარი მოიგო.

ქალის თქმით, როდესაც ის მოგების გასაგებად მივიდა, კინაღამ სიხარულისგან ინფარქტი მიიღო, როდესაც ლატარიის ორგანიზატორებმა განუცხადეს, რომ ასეთი მოგების შანსი ერთი ათი ათასთან იყო.

ბრაუნმა ჯერ არ იცის, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას, შესაძლოა სახლის შეკეთებას მოახმაროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 მარტისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6877

ევრო — 3.0285

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5343

100 რუსული რუბლი — 4.0852

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის





„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“




12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

საღმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## ოთხი წლის გოგონა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პატარა ვუნდერკინდად აღიარეს



ოთხი წლის გოგონა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე პატარა გენიოსად აღიარეს IQ-ს მაჩვენებლებით 148 ქულით.

ინგლისის ბაკინჰემშირის საგრაფოს ქალაქ აივერის მკვიდრი ალანა ჯორჯი მაღალი IQ-ს მაჩვენებლების მქონე ადამიანების მსოფლიოში ცნობილი ორგანიზაციის „მენსას“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდა. მისი მშობლების ნადინისა და ედმუნდის თქმით, გოგონა თავიდანვე დიდ ინტერესს ავლენდა ასოებისა და ციფრების მიმართ და კითხვა სრულიად დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად ისწავლა.

– ის ასეთი პატარაა და უკვე ცხოვრება სწავლის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ჩვენ შევშინდით კიდეც, როდესაც მივხვდით თუ ის რამდენად ჭკვიანი იყო, – განაცხადა გოგონას 37 წლის დედამ ნადინმა, – ეჭვგარეშეა, რომ განსაკუთრებულია, თუმცა ჩვენ დღემდე არ ვიცით, თუ რამდენად ფართო პოტენციალისაა ის.

ქალი პირველად მაშინ მიხვდა, რომ მისი შვილი ვუნდერკინდი იყო, როდესაც შვიდი თვის ასაკში ალანამ პირველი სიტყვების წარმოთქმა დაიწყო, ხოლო კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ სრულფასოვნად ლაპარაკობდა. სამი წლისა თავადვე კითხულობდა ნაწყვეტებს საყვარელი ნაწარმოებებიდან. ნადინმა სპეციალისტებს მიმართა ალანას გონებრივი განვითარების შესამოწმებლად. ტესტირების შედეგად მათ დაადგინეს, რომ ბავშვი შვიდი წლის ბავშვის დონეზე კითხულობდა, ხოლო საუბრობდა და მსჯელობდა, როგორც 6,5 წლის ბავშვი.

ამ მომენტისთვის ალანა დადის სკოლაში, რომელშიც ოდესღაც სამეფო ოჯახის წევრები სწავლობდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– უკვე ყელშია ამოსული ჩემი ქმარი: დილას მიეცი, შუადღეს მიეცი, საღამოს მიეცი!..

– რა ბედნიერი ხარ, გოგო...

– რა ბედნიერებაზე მელაპარაკები? დასალევის ფულს მთხოვს!..

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ვინ ღრიალებს ასე კედლის მიღმა?

– ჩვენი მეზობელი ლამარა...

– რა, მშობიარობს?

– არა, ფეხმძიმდება.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– არაყს სვამთ?

– არა, რას ამბობთ, პირს საერთოდ არ ვაკარებ!

– ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ არყის თაობაზე მაინც არ მიპასუხეთ...

●●●

დილით დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, დღეს რას შეჭამ?

– პური გვაქვს?

– გვაქვს.

– კარაქი?

– გვაქვს.

– ძეხვი?

– ეგეც გვაქვს.

– მაშინ ხაჭაპურს.

●●●

ექიმი პაციენტს:

– ასე, პულსი ნორმალურია.

– ექიმო, მარცხენა ხელზე ნახეთ, ეგ პროთეზია.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, როგორი ძვირფასი საჩუქარი მომართვი და საიდან ასეთი საჩუქრისთვის ფული?

– ის წინდები გავყიდე, შენ რომ დაბადების დღეებზე მჩუქნიდი.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– იცოდე, ახლა გაკოცებ!

– მაკოცებ და ვიყვირებ!

– მერე რა მოხდება?

– არაფერი, სახლში მარტონი ვართ!

●●●

ინსტრუქტორს ახალბედა პარაშუტისტი ეკითხება:

– იმ შემთხვევაში, თუ არც მთავარი და არც სათადარიგო პარაშუტი არ გაიხსნება, მიწამდე რამდენ ხანს ვიფრენ?

– მთელ დარჩენილ ცხოვრებას!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## კრიშტიანო რონალდუ: „სწორედ ამისთვის მიმიწვიეს იუვენტუსში“

კრიშტიანო რონალდუმ ატლეტიკოსთან 3 გოლის გატანა შეძლო და შეიძლება ითქვას, რომ მარტომ მოუგო მადრიდელებს.

მატჩის შემდეგ რონალდუ სიხარულს არ მალავდა.

– დღეს საოცარი საღამო იყო და პირველ რიგში ბედნიერი ვარ იმით, რომ მეოთხედფინალში გავედით. ჩემპიონთა ლიგა ძალიან რთული ტურნირია, ამიტომ მის მოგებაზე საუბარი ჯერჯერობით ზედმეტია, თუმცა ჩვენ მხოლოდ ეს მიზანი გვაქვს. იუვენტუსი უკან არ დაიხევს, – განაცხადა რონალდუმ.




## კიელინიმ იუვენტუსის შემადგენლობაში 500 შეხვედრა ჩაატარა

იუვენტუსის ლეგენდარულმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ ტურინული გუნდის შემადგენლობაში 500 შეხვედრა ჩაატარა და მე-500 მატჩი ატლეტიკოს წინააღმდეგ იყო, რომელიც იუვენტუსის ტრიუმფით დასრულდა.

კიელინიმ იუვენტუსში კარიერა 2004 წელს დაიწყო და მას შემდეგ ის ამ გუნდის შეუცვლელი წევრია.

კიელინიმ ამ ხნის მანძილზე იუვენტუსთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში მას გამარჯვება არა აქვს.

## უეფამ შესაძლოა ნეიმარი დასაჯოს




უეფამ გამოძიება დაიწყო და შესაძლოა პსჟ-ს ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს. საქმე ისაა, რომ მანჩესტერ იუნაიტედთან დამარცხების შემდეგ ნეიმარმა ვიდეო ჩაწერა, სადაც შეხვედრის არბიტრს შეურაცხყოფა მიაყენა და უშვერი სიტყვებით მოიხსენია.

მსგავსი ქმედება დასჯადია, ამიტომ რეალურია, რომ ნეიმარმა დისკვალიფიკაცია მიიღოს, რის გამოც ის მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 2. მამათა მონასტერი; 3. კანიონი ხონის რაიონში; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა; 5. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. წითელ ღვინოში ჩამბალი პურის ნაჭრებით მომზადებული ქართული საუზმეული; 4. დიდგვაროვანთა უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 12. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. მაროკოს დედაქალაქი; 17. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

